

# საქართველო

ეროვნული  
ბიზნისი

საერთოული გაზეთი

პარასკევი 9 იანვარი 2004 №1 (2020)

ფასი 50 თეთრი



გურამ დრულაძის ფოტო

**აღარ გათანდა...  
ტრაგიკული შობა  
ხივის არსენალში  
შალვა აფხაზაშვილი  
გუშინ გათუხიდა უნდა  
ჩამოესვენებინათ**



გურამ აბთილაძის ფოტო

**ანრი მიშელი ურდანიას  
ან ურდანიას სიტყვას ელის  
ფიფას დაუფას პრეზიდენტობა  
ფედერაციის პრეზიდენტი ციხის  
საპაღოფოში მოიხიბნას**



გიორგი ქინჭლაძე და „ლიდის“ ერთმანეთს საჭმეში იცნობენ

**ქინჭლაძე  
გასაყიდი  
ლიდის იყიდა**

# ჯორჯია იზ ჰია

## ფრანგი მიხალი და ქართულ-თურქული ჯანბანობა



ხომ ჩამოვიყვანეთ... ანრი მიშელით ბაირამ თუთუმლუმ თავს იწონებს

თურქმა აგენტმა ბაირამ თუთუმლუმ დანაპირები შეასრულა და ბედობა დღეს ანრი მიშელი თბილისში ჩამოიყვანა, ხოლო მერე ჟურნალისტებსაც შეგვახვედრა. მიშელმა და მისმა ლიბანელმა მეუღლე რუბამ თბილისი 3 იანვარს დატოვეს

მიშელმა თბილისი დათვალიერა, შემდეგ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ ლერი სულაბერიძესთან ჰქონდა საქმიანი შეხვედრა, რაც ჯენტლმენური შეთანხმებით დასრულდა — მიშელმა საქართველოს ეროვნული ნაკრები უნდა გაწვრთნას. ფრანგმა მწვრთნელმა ფედერაციის ოფისი, ნაკრების ბაზა და ჩვენი სტადიონებიც მოინახულა.

იქცევდა თავს თბილისურ მაღაზიებში, მუსიკ მიშელი კი შეკითხვებზე პასუხების გაცემას შეუდგა. თბილისში ძალიან კარგად მიმიღეს, აქაური სამუშაო პირობები ვნახე და კმაყოფილი დავრჩი. იმედია, აქ მალე დავბრუნდები. შესაძლოა, საქართველოს ნაკრებს კვიპროსის ტურნირზე შევეურთდებ, რომელიც 15 თებერვალს იწყება.

ფინანსური მხარეა უმნიშვნელო. ...თქვენი რაგბის ნაკრების ფრანგ მწვრთნელ კლოდ სორელზე როგორ არ მსმენია — სორელი ჩემი მეგობარია.

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას დაპატიმრებულია, არადა, მის ძალიან მჭირდება — გუნდისთვის აუცილებელია, რომ მწვრთნელსა და პრეზიდენტს ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ.

...რაც შეეხება იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეუღლის აზრს ჩემს საქართველოში მუშაობაზე, გეტყვი, რომ ჩემი ცოლი თავს უკვე ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

გუშინ კი თუთუმლუმ ტელეფონით ვესაუბრეთ და რამდენიმე შეკითხვაც დავუსვით

— ყველაფერი რიგზეა, არაფერი შეცვლილა?

— ყველაფერი უწინდელივითაა — სიტყვიერი შეთანხმება კვლავაც ძალაშია.

— კონტრაქტი როდის გაფორმდება?

— ველოდებით მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებას.

— ანრი მიშელი თბილისში ხელმოწერდ როდის ჩამოვა?

— ეს ალბათ 5-6 დღის შემდეგ გვეცოდინება.

— თუ ჟორდანიას არ გაათავისუფლებენ, ლერი სულაბერიძესთან არ გააგრძელებთ კონტრაქტზე მუშაობას?

— მუშაობას და მოლაპარაკებას იმასთან გავაგრძელებთ, ვისაც ჟორდანიას ასეთ უფლებამოსილებას მიანიჭებს, თუნდაც სულაბერიძესთან — ეს ჟორდანიას გადასაწყვეტია.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას ისევ წინასწარ პატიმრობაშია, თუმცა ჯანმრთელობის გაუარესების გამო 30 დეკემბერს მეხუთე იზოლაციორიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამჟამად ჟორდანიას მკურნალობის კურსს გადის. სადღეისოდ უცნობია, რამდენ ხანს გაატარებს ფედერაციის პრეზიდენტი ციხის საავადმყოფოში

# ბლატერმა შორდანიას რესპუბლიკაში მოიპოვებ



ბუშის მერაბ ჟორდანიას ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი, ფედერაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ჩივაძე შეხვედრენ და მოსკოვში თავიანთი ვიზიტის დეტალები შეუთანხმეს. ჩოლარია და ჩივაძე მოსკოვს 17 იანვარს გაემგზავრებიან და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფეხბურთის ხელმძღვანელებთან ერთად ფიფას პრეზიდენტ ზებ ბლატერს შეხვდებიან. მათი ვიზიტი ორდღიანი იქნება, ისინი თანამეგობრობის თასის ტრადიციული ტურნირის მატჩებსაც დაესწრებიან. მოსკოვამდე კი ზებ ბლატერმა, უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა და მიშელ პლატინიმ წინასწარ პატიმრობაში მყოფ ჟორდანიას ახალი წელი მიულოცეს.

სელახალი განხილვა ითხოვა, ჟორდანიას დეპუტატობის კანდიდატა და იმუნიტეტი იცავსო. სასამართლომ შავგულიძის თხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა.

ამასობაში კი კვიპროსის ტურნირზე საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქის ვინაობაც გაირკვა — 18 თებერვალს ჩვენები რუმინელებს შეხვდებიან.

ვინ უთავაკებს ეროვნულ გუნდს, ეს მალე გაირკვევა, ყოველი შემთხვევისთვის კი კვიპროსამდე ფეხბურთის ფედერაციამ თადარიგი დაიჭირა და ტურნირის ორგანიზატორებს ხუთკაციანი სამწვრთნელო შტაბის სიაც გაუგზავნა. ვინ წერია ამ სიაში, ჩვენთვის ჯერ უცნობია, თუმცა მათგან ერთი, ალბათ, ანრი მიშელი იქნება.

გუშინვე ფედერაციას ესტონელებმა აცნობეს, 18 აგვისტოს ტალინში დაგეგმილი ამხანაგური მატჩი 2 ივნისის ვითამაშოთო. ჩვენები ეს ტონელთათვის საბოლოო პასუხის მიცემას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის კალენდრის შედგენამდე აყოვნებენ. კალენდარი კი, რაზეც, თავდაპირველი ინფორმაციით, ჩვენი ჯგუფის გუნდებს სტამბოლში უნდა მოელაპარაკათ, თებერვლის დამდეგს ამ კიევში შედგება, ანაც სტამბოლში. უკრანელებმა და თურქები ჯერჯერობით მეტოქეთა მიხედვით უფლებას ვერ იყოფენ, ჩვენებისთვის კი სულ ერთია, კიევში ჩავლენ თუ სტამბოლში.

კობა ინასარიძე

# ალარ გათენდა...




23 წლის შალვა აფხაზავას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. „ბათუმიდან“ კიევის „არსენალში“ 2002 წელს გადასულმა ქართველმა შემტევმა მალე შეაყვარა თავი იქაურებს და პირველსავე სეზონში 14 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირებში გაერთიანდა. აფხაზავას სტაბილურად იწვევდნენ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, შარშან კი ეროვნულ გუნდშიც ჰქონდა დებიუტი მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში.

კიევის მახლობლად, კლუბის საწვრთნელ ბაზაზე იმყოფებოდა შეკრებაზე. 6 იანვარს ფეხბურთელები ვახშმის შემდეგ თავთავიანთ ნომრებში გაემართნენ, შობას გუნდი თურქეთში მიემგზავრებოდა ანთალიურ შეკრებაზე, თუმცა „არსენალს“ აფხაზავას გარეშე მოუხდა წასვლა — ქართველი ფეხბურთელი გამთენიისას მკვდარი იპოვეს თავის ოთახში. სიკვდილის წინასწარ მიზეზად ემზიზემა — ფილტვების შემუქება დასახელდა. თანაგუნდელთა თქმით, აფხაზავა ბოლოს ჩვეულებისამებრ კარგ ხასიათზე იყო. არსენალელები ამბობენ, შალვა ბევრს ხუმრობდა და თავისი განწყობა ჩვენც ვადაგვლო. უკრანელი ექიმები სიკვდილის ოფიციალურ მიზეზს გაკვეთის შემდეგ დაადგინენ.

გაოგნებულია „არსენალის“ თავკაცი ვიარესლაე გროზნი. სიტყვები არ მყოფნის, დაუჯერებელი რამ მოხდა, შალვა ჩვენი გუნდის წამყვანი, პერსპექტიული ფეხბურთელი იყო, ხალისით, სიციოხლით სავსე ახალგაზრდა. ძელი იქნება მის გარეშე — თქვა გროზნი.

# ქინქლაძემ იყიდა: ლიდსი იყიდა



უკვე ერთი კვირაა, გიორგი ქინქლაძე პრემიერლიგის „ლიდსში“ ვარჯიშობს და შესაძლოა, მალე ამ გუნდის მაისურაც მოირგოს. ქინქლაძე აქამდე ათენის „პანათინაიკოსის“ ყურადღების არეში იყო და თითქოს ტრანსფერი უნდა შემდგარიყო კიდეც, მაგრამ, ფეხბურთელისევე თქმით, ბერძნებმა სიტყვა გატეხეს და ათენიდან მანჩესტერში დაბრუნებულს არც კი დაუკავშირდნენ.

„ლიდსში ვარ. გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ბუნებრივია, საუკეთესო ფორმამდე ბევრი მიკლია, მაგრამ, მთავარია, რომ მწვრთნელი მენდობა და თავის გამოჩენის შანსს მაძლევს.

სამაგიეროდ, ქინქლაძეს დაუკავშირდა გაკოტრების პირას მყოფი „ლიდსის“ მწვრთნელი ედი გრეი და გუნდში მიიწვია.

— „ლიდსში“ მწვრთნელი თავად მელაპარაკა და გუნდთან ერთად ვარჯიში შემომთავაზა. დავეთანხმდი და უკვე ერთი კვირაა

— სწორედ მწვრთნელის მიწვევით ჩავედი ლიდსში.

— საბოლოოდ როდის გვეცოდინება, სჭირდება თუ არა „ლიდსს“?

— ალბათ თვის ბოლოს.

— იქამდე გასინჯვაზე ხარ?

— გასინჯვაზე არა. ეგრე რომ ყოს, ორი დღის მერე მეტყობდნენ, რ გვჭირდება. მწვრთნელი კი გუნდთან ერთად სრული დატვირთვით მუშაობს, „ლიდსში“ უნდა ვითამაშო რამდენიმე ამხანაგური მატჩიც. არა მგონია, „ლიდსს“ ზედმეტად ფეხბურთელი სჭირდებოდეს.

— გაკოტრების პირას მყოფი გუნდი, თანაც აუტსაიდერი, შენს ამბიციებს აკმაყოფილებს?

— „ლიდსი“ ფასით პრემიერლიგაში მეთიხე გუნდად ითვლება. დღევანდელი პირობებები კი დროებითია, მალე კლუბი გაიყიდება და — მოკლედ, მწვრთნელი თვის ბოლომდე ვადროებს...

— იქამდე ალბათ სასურველ ფორმაში ვიქნები.

კობა ინასარიძე

შედეგი  
თასის 1/8 ფინალი  
პირველი მატჩი  
ვილიარბალი 1:3 სვილია  
ღვანაძე 1:0 ბარსლონა

# ალაქო კიევის კახა ბაახსენა

ქართული საფეხბურთო ბაზრის ბოლოდროინდელი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი, როგორც ჩანს, კვლავაც ორი „დინამოს“ სახელს დაუკავშირდება. ლაპარაკია თბილისისა და კიევის ყველაზე ტიტულიან კლუბებზე. უკრაინელები კვლავაც იჩენენ ინტერესს ქართველი მცველისადმი, კერძოდ, დინამოელ ალექსანდრე ამისულაშვილისადმი. გეხსომებათ, იგი ჯერ კიდევ შარშან სურდა სურკისის გუნდს, რაც ამჯერად შეიძლება, რეალობად იქცეს. ქართველი ფეხბურთელი უკვე კიევშია და ისინჯება. მან რამდენიმე ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, რასაც საკმაოდ თბილი გამოხმაურებები მოჰყვა



ალექსანდრე ამისულაშვილი

7 იანვარს კიევის „დინამომ“ ტრადიციული „დინამოს“ საშობაო ტურნირი დაიწყო ოთხი გუნდის მონაწილეობით: „ლეგიონერები“, „უკრაინელები“, „დინამო 2“, „ლეგიონერები 2“. ქართველი ფეხბურთელი სწორედ „ლეგიონერებში“ ასპარეზობს და მისი თანაგუნდელები არიან რევა, ლეკო, გაიანე, მილევსკი, გოლოვკო, დიმიტრულინი, გუსინი — ეს ფეხბურთელები კიევური გრანდისთვის საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ. ამით გარდა, ერთ დროს მადრიდის „რეალის“ სერბი ფორვარდი პერიცა ოგნიენოვიჩიც ამისულაშვილის „თანაგუნდელი“ გახლდათ. „ლეგიონერები“ „უკრაინელებთან“ 3:5 დამარცხდნენ. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად კიევში, „დინამოს“ ბაზაზე, კლუბის მესვეურთ შევეხმიანეთ. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ მოგვიხილგა, თავისი სიტყვათქმობა მოუცვლელობას გადააბარა და ესადა გვითხრა: „დღესდღეობით კიევში 15-მდე ფეხბურთელი ისინჯება და საკმაოდ ბევრი სამუშაო მაქვს. ახლაც ტრადიციული საშობაო ტურნირია და მალე თამაშები დაიწყება. რაც შეეხება

თქვენს თანამემამულეს, მან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩანს, რომ მას შეუძლია თამაში და „დინამოს“ გაძლიერება. ვნახოთ, კიდევ როგორ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს“.

უფრო ენაწყლიანი გამოდგა კლუბის პრესატაშე სერგეი პოხოვსკი, მან ჩვენს კითხვებსაც უპასუხა:

— ვიცით, „დინამოში“ ბევრი ფეხბურთელი ისინჯება, ჩვენ ქართველი ალექსანდრე ამისულაშვილის ბედი გვაღელვებს...

— სასიხარულოა, რომ კიევის „დინამომ“ სახელი ისე შორს გაიტაცა, რომ ჩვენთან სინჯებზე ჩამოსვლას აღარ თაკილობენ ბრაზილიელი, პერუელი, არგენტინელი და სერბი ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთი ქვეყნებშიც ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. რაც შეეხება ამისულაშვილს, მან კლუბის ხელმძღვანელობის მოწონება დაიმსახურა.

— დაინტერესებულთათვის ცოტა მშრალი პასუხია...

— ფაქტია, რომ ის სინჯებზე ჩვენი დაინტერესების გამო მოხვდა და არა საკუთარი ან მენეჯერის ინიციატივით. მერწმუნეთ, ესეც

# შუშაგ თან უხარია, თან არა

საპარტიველოს ჩემპიონმა, თბილისის „დინამომ“ სამეორეჯერო მზადება 5 იანვარს დაიწყო, დღეიდან კი გუნდს ჩვეულად უხელმძღვანელებს ივო შუშაკი, რომელიც შვედურ ლეგს შინ, ხორვატიაში ატარებდა და თბილისში გუნდს ჩამოვიდა.


შუშაკს სამწესოში სახლე დახვედა — გუნდი დატოვა ალექო ამისულაშვილმა, ერთ-ერთმა სტაბილურმა ფეხბურთელმა, ყველაზე სტაბილურმა თუ არა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ივო შუშაკი თავის თანამემამულეს შეხვდა და გუნდში არსებულ ვითარებაზე, წვრთნის პროცესის მიმდინარეობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღო.

— დილის ვარჯიშს ვეღარ ჩამოვუსწარი, თუმც კი თანამემამულესგან ყველაფერი ვაგივე და კაყოფილი ვარ. ვიცი, რომ ბიჭებმა ჩემი დატოვებული პროგრამით განაახლეს მზადება და საქმეს კეთილსინდისიერად მოეკიდნენ — გვითხრა თბილისში ახალჩამოსულმა ივო შუშაკმა — „დინამოს“ ხვალ შევეურთდები, ფეხბურთელებს ვაკვსაურებ, სახალწლო ამბებს ვიკითხავ და ვარჯიშსაც ძველებურად ვავაგრძელებ.

— გუნდს კი ვაგვასურებთ, მაგრამ ამისულაშვილს...

— გაორებული გრძობა მაქვს: თან გული მწყდება, თან მიხარია, რომ ამისულაშვილი კიევის „დინამოში“ წავიდა. გულდაწყვეტილი ვარ, რადგანაც გუნდი ერთ-ერთმა ლიდერმა დატოვა, თუმც ის ფაქტი, რომ ამისულაშვილი ევროპული დონის გუნდშია, თავისთავად



ვად გასახარია. ესე იგი, თბილისის „დინამოში“ მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ. სხვანაირად კიევის „დინამო“ ფეხბურთელს არ აიყვანდა.


— თბილისში ჩამოსვლამდე „ვარდების რევოლუციას“ ხომ არ შეუშინებინებართ?

— არა, რას ამბობთ. პოლიტიკისგან შორს ვარ და ვერაფერს გავტყვით, თუმც ვიცი, რომ ხალხის ნებამ გაიმარჯვა.

— ინფორმაციის ნაკლებობას ალბათ არ უწიოდით...

— ინფორმაცია არ იგვიანებდა. ყოველი ახალი ამბავი ჩვენამდე ობიექტურად მოდიოდა. მეგობრები ყოველდღე მეკითხებოდნენ აქაურობაზე, მე კი ვპასუხობდი — საქართველოში მშვიდობაა, ჩემი გულის ნაწილი იქ არის-მეთქი.

# ბაპიტანი დინამოდან ფიქრობს



ბაპიტანი „დინამოდან“ წამოსული საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე ახლა თბილისშია და „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს. 31 წლის ნემსაძე შესაძლოა, რუსეთის პრემიერლიგის რომელიმე გუნდში გადავიდეს, თუმც იმის ალბათობაცაა, რომ კვლავ დასავლეთ ევროპაში გაბრუნდეს — მის ასეთ პერსპექტივაზე აგენტები ივან ბენეში მუშაობს. მაგრამ, როგორც თავად ნემსაძემ გვითხრა, არც ისაა გამორიცხული, რომ კარიერა თბილისის „დინამოში“ გააგრძელოს.



ვიტალი დარასელია

## ფანჯარა ღიაა. ვინ გაღვავა? გობგობერიშვილი ჯერ არ ჩქარობს მომლოდინე დარასელია: ვილაპარაკოთ 12-ის მერე

საპარტიველოში სატრანსფერო ფანჯარის გახსნისას მუდამ ერთი და იგივე კითხვა ისმის, სად გააგრძელებენ კარიერას ეროვნული ჩემპიონატისთვის უკვე გადაზრდილი გადამწიფებული ფეხბურთელები. ასეთები კი, როგორც წესი, სხვებზე მეტნი „დინამოში“ არიან. ამისულაშვილი კიევის „დინამოში“ ისინჯება; გობგობერიშვილზეც ლაპარაკია, „ინინას“ მიდისო, მაგრამ თავად ფეხბურთელმა ეს ხმები უარყო და ეს გვითხრა: „ინინას“ ვარდა კიდევ იყო რამდენიმე კლუბზე საუბარი, თუმცა ყოველივე მხოლოდ ვარიანტის დონეზე დარჩა. ახლა წინ მოსკოვის ტურნირია და თუ იქაც არ გამოჩნდა რეალური შემთავაზებები, მაშინ სეზონს „დინამოში“ ჩავამთავრებ, მისი-

დან კი კლუბთან კონტრაქტი მეწურება და ახალი გუნდის პონაც უფრო გამიადვილდება. ჯერჯერობით არ ვქაჩობ“.

უფრო რეალური ჩანდა ვიტალი დარასელიას ტრანსფერი, მას რუსული პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი იწვევდა, თუმცა დარასელია ახლაც თბილისშია და დილომში „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს. მისი პასუხი უფრო მომლოდინე კაცისაა ჰგავდა: „რეალური არაფერია, თუმცა არც შემთავაზებების ნაკლებობაა. ამჟამად ჩემი აგენტის ზარს ველოდები და რეალურ ვარიანტებსა და კონკრეტულ კლუბებზე 12 იანვრის შემდეგ ვისაუბროთ“.



ალექო გობგობერიშვილი



მურაბ დოღონაძის ფოტო

გუშინ გორის „დილამ“ მე-15 ეროვნული მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო. ზეექსტრულდაჭაშნიკებულმა გორელებმა ძველი შემადგენლობით განაახლეს ვარჯიში. ზურაბ ხორგუაშვილი შეგირდებს ათი დღით მშობლიურ ქალაქში გაუბურებს დასვენებულ კუნთებს, მერე კი ანთალიაში ორკვირიანი შეკრებაცაა დაგეგმილი. გორელებს ახალი ფეხბურთელების გადაბირებაც მოუწადინებიათ, თუმც ამ თემაზე პრესასთან წვრილად საუბარს ჯერჯერობით ერიდებიან. აი, რა გვითხრა გუშინ „დილას“ თავკაცმა ზურაბ ხორგუაშვილმა

# გუშინ გორის „დილამ“ მე-15 ეროვნული მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო. ზეექსტრულდაჭაშნიკებულმა გორელებმა ძველი შემადგენლობით განაახლეს ვარჯიში. ზურაბ ხორგუაშვილი შეგირდებს ათი დღით მშობლიურ ქალაქში გაუბურებს დასვენებულ კუნთებს, მერე კი ანთალიაში ორკვირიანი შეკრებაცაა დაგეგმილი. გორელებს ახალი ფეხბურთელების გადაბირებაც მოუწადინებიათ, თუმც ამ თემაზე პრესასთან წვრილად საუბარს ჯერჯერობით ერიდებიან. აი, რა გვითხრა გუშინ „დილას“ თავკაცმა ზურაბ ხორგუაშვილმა

— წინასწარ ჯერ ვერაფერს ვამბეულ. დღეს შევიკრიბეთ და მალე ახალწვეულებიც შემოვიერთდებოდნენ. ვნახოთ, იმედი მაქვს, ყველაფერი საჩვენოდ გადაწყდება.

— რამდენ ხანში გაირკვევა ეს ამბავი?

— ალბათ სამ-ოთხ დღეში მეცოდინება, ვინ ითამაშებს „დილამ“ საგაზაფხულო ეტაპზე. წასვლით კი არავინ წასულა.

— ლეგიონერების ჩამოყვანაზე ისევ ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა. ვფიქრობთ კი არა, მალე ჩამოვიყვანთ კიდევ.

— გამოდის, საქმე თითქმის მოგიგვარებათ...

— რამდენჯერაც წინასწარ ვთქვი რამე, იმდენჯერ რაღაც პრობლემა შეგვექმნა. ცოტა მოითმინეთ და ყველაფერს გაიგებთ.

— ის მაინც გვითხარით, სადაურები არიან...

— ბრაზილიელები. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს.

— რამდენი არიან?

— მაინც ცდილობთ, რამე მათქმევინოთ. ორი ან სამი ბრაზილიელი ჩამოვა. მეტს ვერაფერს ვაგომხელთ. ისედაც ბევრი წამომცდა... ერთი სიტყვით, „დილა“ მიღწეულით დამყოფილებას არ აპირებს და საგაზაფხულოდ სერიოზულად ემზადება. გორელებს ევროსაფეხურის მოპოვება ამოუჭრიათ გულში და ბრაზილიელი ლეგიონერების ჩამოყვანასაც ამიტომ ემზადებიან ასე რომ, პატარა გორი დიდი საქმეებისთვის ემზადება.

ბატა შალაგბერიძე

## სანამ ულო ჩამოვა ბორჯალომ ჩარ გაუზა...

საქართველოს სამგზის ჩემპიონი და მე-15 ეროვნული ჩემპიონატის იმედგაცრუება — ქუთაისის „ტორპედო“ საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას 12 იანვარს იწყებს. რიონისპირელებს უმაღლეს

ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ ბრძოლა და მათთვის ამ მეტად უჩვეულო საქმეს, ალბათ, რამდენიმე ახალ ფეხბურთელთან ერთად გააკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, „ტორპედო“ უკვე ოფიციალურად დაშორდა ოთხ მოთამაშეს. კლუბის გენერალური დირექტორის, მურად ქუთათელაძის თქმით, უკრაინელი ანდრი პოროშინი, რომან ახალკაცი, ვახტანგ ზვადაგანი და

ზურაბ მუშუკუდიანი „ტორპედო“ გაათავისუფლა და ისინი ახალი წლიდან ახალ კლუბებში ითამაშებენ. ამთვან ორმა — ახალკაცმა და ზვადაგანმა უკვე გაარკვიეს საკუთარი მომავალი: რომანმა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ორწლიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი, ვახტანგი კი ბერძნულ „იანინას“ შეუთანხმდა. რაც შეეხება პოროშინს და მუშუკუდიანს, მათთან თანამშრომლობის გაგრძელება თავად კლუბმა აღარ ისურვა.

სხვები კი ჯერაც გუნდში არიან. წასულების შემცველებზე ხელმძღვანელობა უკვე მუშაობს, თუმც ყველაფერი ბრაზილიელი მწვრთნელის ჟოაო კამპუშის ქუთაისში დაბრუნების შემდეგ გაირკვევა.

ბატა შალაგბერიძე



სურათები „ტორპედოს“ ალბომიდან: რომან ახალკაცი და ანდრი პოროშინი



ბატა შალაგბერიძის ფოტოები

## ბედიაშვილის ბედი ვიბ ჯორჯიაა

თბილისის „ვიტ ჯორჯიაში“ ახალი სეზონისთვის მზადება შარშან დაიწყო, თუმც საახალწლოდ რამდენიმე დღე დაისვენა და წვრთნა 5 იანვარს განაახლა — ვიტელები ჯერ უბურთოდ, ფიზიკურად ვარჯიშობენ.

გუნდიდან არავინ წასულა, ახალწვეული კი „ვიტ ჯორჯიაში“ ერთია — ვიტელებმა რუსთავეის „გორდადან“ მეკარე ვია ბედიაშვილი დაიმატეს. ზურაბ ბერიძის გაწვერთნილი „ვიტ ჯორჯია“, რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს, 5 თებერვლიდან უცხოურ შეკრებაზე გადავა — ანთალიაში ვეტერინარები 22 თებერვლამდე დარჩებიან და სავარაუდოდ ხუთ საკონტროლო მატჩსაც გამართავენ.




ბატა შალაგბერიძის ფოტო

ვია ბედიაშვილი უმაღლესში მოეწყო



უკვე წასული და წამსვლელი: ვალტერ გუზუა და ბორის გონჩაროვი



ბატა შალაგბერიძის ფოტო

## ლობჯანიძე ჩამოდის?! სიონის სახელო სახელოდან მოდის

11 იანვარს სამეორეეტაპო სამზადისის დაიწყებს ბოლნისური „სიონი“. ქვემოქართვლები აქამდეც უნდა შეკრებილიყვნენ, მაგრამ გუნდის თავკაცი ოთარ გაბელია შეუძლოდ გახლავით. როგორც სიონელები იმედოვნებენ, ნაგრიპალი გაბელია კვირას თავად გაუძღვება გუნდის საამნლო პირველ ვარჯიშს

„სიონი“ თბილისში, „ნორჩი დინამოელის“ სკოლაში მოემზადება, რადგან ბოლნისში მოედანს საფარს უცვლიან. „თამაზ სტეფანიაზე“ საქმეს უკვე შეუდგნენ — მუშებმა ძველი გაზონი აყარეს. 20 იანვრისთვის თურქეთიდან გამოწვილ წყლის გამწვოვ მილებს ელიან და თვის ბოლოს ბოლნისელებს ახალი, დრენაჟიანი მოედანი ექნებათ.

წამსვლელ-დამრჩენებზეც ვთქვათ ამ მხრივ ბევრი რამ ჯერაც გადასაწყვეტია. გუნდი ოფიციალურად დატოვა ვალტერ გუზუამ, რომელიც ექსპიტელ მეკარე სერგო ჭურაძისთან ერთად ირანში გადაბარგდა და კლუბ „ტაბა ბატერში“ მოეწყო. თითქმის გადაწყვეტილია „სიონიდან“ დავით ჭიჭვიშვილის წასვლაც. იგი ალბათ მალე გააფორმებს კონტრაქტს უკრაინულ „ვილინთან“, ოდონდ სამისოდ ბოლნისელებთან უნდა მოაგვაროს საქმე.

ოთარ გაბელია 11 იანვარს გელა ფანჩულიძის და შალვა ხუჯაძის საკითხს გადაწყვეტს. ამ ორ ფეხბურთელს „სიონთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და მათი ბედი მწვრთნელზე დამოკიდებული.

„სიონის“ ტექნიკური დირექტორის პეტრე დანელიას თქმით, გუნდიდან წასვლა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს სურს. როგორც შევტყვევით, ერთ-ერთი მათგანი ჩემპიონატის მთავარმეგობლე ბორის გონჩაროვიცაა. მას საზღვარგარეთ თამაშის ამბიცია აქვს და ძნელად თუ დააბრკოლებენ ბოლნისელები. გუნდიდან წასვლა სურს კონსტანტინე დარსანიასაც, მან პირველი ეტაპი, ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

„სიონის“ სამეორეეტაპო ბიუჯეტი დიდად არის დამოკიდებული მას „მადნეულზე“, რომელიც ბოლნისის გამგეობასთან ერთად კლუბის დამფუძნებელია. მას აქამდე ზურაბ ლობჯანიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც ამავდროს კლუბის პრეზიდენტიც იყო. ამბობენ, ლობჯანიძე მალე დაბრუნდება საქართველოში და ამის მერე გაირკვევა, დარჩება თუ არა მას „მადნეულის“ გენერალურ დირექტორად. თუმც ბოლნისელები იმედს არ კარგავენ, თუკი ლობჯანიძე წავიდა, მისი შემცვლელი არ გვიგანებსო.

ბატა შალაგბერიძის ფოტო











# QUE PASA?!

## ლაპორტამ და რაიკარდმა

### საბანგო პდგოპარობა გამოასხადეს

საფეხბურთო კატალონია 2004 წელს „რასინგთან“ დიდი ანგარიშით წაგებოთ (0:3) შეხვდა. შოკი, რომელიც „ბარსას“ ქომაგებმა 4 იანვარი ავბედით შეხვედრამი მიიღეს, თვით ყველაზე რკინისნერვებიან ინჩასთათვისაც მეტისმეტად მძიმედ ასატანი გამოდგა. საყვარელი გუნდის მუდმივი მერყეობით სასონარკვეთილმა ბარსე-

ლონურმა სპორტულმა მედიამ უკვე აღარ იცის, რა დაწეროს და იქაურთა უმწიკო გაცოფება ძირითადად ერთი მრავლისმეტყველი შეკითხვით გამოიხატება: QUE PASA?! (რა ხდება?!). მართლაც, რატომ ვერაფრით ვერ ამოდის პრიმერას გრანდი ჭაობიდან და რა არის ფრანკ რაიკარდის შევირდთა ესოდენი დაუძღურების მიზეზი?



ფრანკ რაიკარდი, ხუან ლაპორტამ ნდობა გამოაცხადა

„მინდა, ყველამ იცოდეს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა რაიკარდის სამწვრთნელო კურსის ერთგული რჩება. რა თქმა უნდა, მესმის სანტანდერული მატჩით გამოწვეული გულისტკივილი, მაგრამ გულშემატკივრებს მაინც ვთხოვ, პოლანდიელი დამრიგებლის კრიტიკას მოერიდონ. „ბარსას“ მარცხში უფრო მეტი „დამსახურება“ ფეხბურთელებს მიუძღვის, მოთამაშეებს საომარი შემართების ნაკლებობა აშკარად ეტყობათ“ — განაცხადა კატალონიური გრანდის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ, როდესაც ვიცე-პრეზიდენტ სანდრო როსელისა და სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგერისტიანიან

ერთად გუნდის მორიგ ვარჯიშს დაესწრო. სამუელმა „ბარსელის“ სამწვრთნელი ბაზა მოულოდნელად დალაშქრა და მობურთაღთა არასაომარ განწყობაზეც დიდი გავლენა მოახდინა — რონალდინიო და კომპანია ისე მონდომებით შეუდგა ვარჯიშს, რომ ვეტერანმა ლუის ერრეკემ ერთ-ერთ თანაგუნდელთან შეჯახებისას საკმაოდ სერიოზულ ტრავმასაც გამოჰკრა ხელი. მოკლედ, ფეხბურთელები ყველანაირად ცდილობდნენ, უფროსობისთვის თავიანთი სინაუქე დაემტკიცებინათ, თუმცა ტრიბუნაზე გაქვავებული სახით მჯდომ ლაპორტას აღტაცებისას ვერაფერს შეატყობდით. ის კი არა,

საწვრთნელი ბურთაობის დასასრულ, გასახდელისკენ დაძაბულად მიმავალ ბიჭებს ჩვეული ღიმილიანი საღამოქალაქიკ კუშტი მრისხანებით დაუმალა. „პრეზიდენტთან ერთად მოვითათბირეთ და განვსაზღვრეთ, რომ ამ ეტაპზე რაიკარდისთვის უნდობლობის გამოცხადება სისულელეა — დაასკენა ბეგერისტიანმა. ნათელია, ნიდერლანდელ სპეციალისტს (უახლოეს მომავალში მაინც) ხელს არ ახლებენ, ხოლო მის მოწაფეთა გარკვეულ ნაწილს კი ვინძლო, გუნდიც დაატოვებინონ. ფეხბურთელთა უდისციპლინობით თავმოებურებულმა რაიკარდმა „საგანგებო მდგომარეობა“ გამოაცხა-

და. „მოთამაშის პროფესიონალიზმი მარტო მოედანზე გასვლითა და იქ მეტოქესთან ბურთისთვის ბრძოლით არ გამოიხატება. საჭიროა, ყველაფერი შესაბამის კალაპოტში ჩადგეს. ცხადია, არასოდეს ჩავერევი ფეხბურთელთა პირად ცხოვრებაში, მაგრამ როდესაც მატყობინებენ ზოგიერთის მიერ მნიშვნელოვანი თამაშების წინ მოწყობილ დამეულ ორგეებზე, შეუძლებელია, მშვიდად და აუღელვებლად გავაგრძელო ჩემი საქმიანობა“ — უთხრა რაიკარდმა ესპანურ „მარკას“ და მუქარას სავარაუდო სანქციებიც თან მოაყოლა — ანარქიისა თუ ზედმეტი თავისუფლების მოყვარულნი, ლაპორტა-

სა და რაიკარდის საერთო გადაწყვეტილებით, კარგა გვარიან ფულადჯარიმას პლუს სათადარიგო სკამზე ყურყურით იქნებიან „დაჯილდოვებულნი“. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მოწაფეთა თავგასულობისა, ლაპორტასგან განსხვავებით, დამრიგებელს „ბარსას“ ჯიგითობაზე ხელი არ ჩაუქნევია. „გუნდი ყველაზე მეტად შეუთამაშებლობამ დაზარალა. უფროსობისა და ფეხბურთელების ერთობლივი შრომით ამ პრობლემაც აუცილებლად დაეძლევთ. წინასწარ იმედის გატეხვა უაზრობაა“ — აღიარა ოპტიმისტმა ფრანკმა.

ლადო ხომეირი



## გულიტა ფეინოტრდი ღაიბეპა

„მილანის“ ლეგენდარული პოლანდიური ტრიოდან (რაიკარდი, გულიტი, ვან ბასტენი) ამჟამად საკლუბო დონეზე მხოლოდ ერთი, ფრანკ რაიკარდი მწვრთნელობს. თავის დროზე ჯერ „ჩელსის“, შემდეგ „ნიუკასლის“ მწვრთნელ რუდ გულიტს „სექსუალური ფეხბურთი“ დაუწუნეს და პოსტი დაატოვებინეს. გულიტს გული არ გაუტეხია, ისწავლა და კვლავ საქმეს დაუბრუნდა — პოლანდიის, 19-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობს, სეზონის ბოლოს კი, თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რო-

ტერდამის „ფეინოორდს“ ჩაიბარებს. „ფეინოორდის“ ტექნიკურ დირექტორად „ტილბურგის“ ყოფილი მწვრთნელი მარკ ვოტე დანიშნეს, როტერდამელთა ახლანდელი თავკაცი ბერტ ვან მარვიკი ალბათ სხვა გზას ეწევა, ყოფილი მილანელი კი მის ადგილს დაიკავებს. რუდ გულიტმა თქვა: „დიდი ხანია, ამ გუნდის მთავარმწვრთნელობა მსურს. ვფიქრობ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ნებას დამირიავს და სეზონის ბოლოს მუშაობას შეეუდგები“. პოლანდიის ფეხბურთის ფე-

დერაციის კანონების მიხედვით, ნებართვაა საჭირო, რათა ამა თუ იმ კაცს კლუბში მუშაობის უფლება ჰქონდეს. გულიტი „ფეინოორდს“ სავარაუდოდ ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ჩააბარებს, ევრო 2004-ზე კი დიკ ადვოკატის თანამშემე იქნება. აქვე დავძინოთ, რომ თმანუჭუჭა პოლანდიელმა კარიერაში თავისი პირველი ჯილდო სწორედ როტერდამის „ფეინოორდის“ შემადგენლობაში 1984 წელს მოიგო.

გაბა ხუციშვილი


## საჰას სულდოკო მანჩესტერი

### გულამოსახვნილი ფრანგის ჩივილი


„ფულემის“ ფრანგი ფორვარდის, ლუი საჰას გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს“ შემოდგომითვე ეწადა. მანჩესტერსა და ლონდონს შორის ვაჭრობა თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდის მოლარეები „ფულემს“ ფორვარდის სანაცვლოდ 10 მილიონს სთავაზობდნენ, დედაქალაქელები კი ორჯერ მეტს ითხოვდნენ. ორიოდ დღის წინ მანჩესტერიდან ლონდონელებს აცნობეს, 13 მილიონი გირვანქა თუ გაწყობთ, მოვრიგდეთ და ფრანგი დაგვითმეთ. „ფულემმა“ იუარა, გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელმა კრის კოულმენმა თქვა, საჰას ვერ შეველევი, არ იყიდებაო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით თამაში არაერთი ფეხბურთელის ოცნებაა. მათ შორისაა ლუი საჰაც, რომელსაც „ოლდ ტრეფორზე“ გადასვლის ნება არ მი-

სცეს. „მე მითხრეს, რომ კლუბს ჩემი გაშვება არ სურს. ძალიან მეწყინა და ხასიათი წამიხდა. „მანჩესტერი“ 13 მილიონ გირვანქას გამოდიოდა, რაც „ფულემისთვის“ საკმაოდ მსუყე თანხაა, ბოლოს

და ბოლოს, რონალდინო ხომ არ ვარ? ექვსი თვის წემდეგ, სეზონი რომ დასრულდება, „მანჩესტერ იუნაიტედს“ აღარც გავახსენებ, ისინი სხვა მეგობრებს შეიძენენ. მოჰამედ ალ ფაიედისა ვერაფერი



ალექს ფერგიუსონი



ლუი საჰა

გავიგე, „ფულემისთვის“ არაერთი ლიტრა ოფლი დამიდვრია და მგონი მეტ პატივისცემას და ყურადღებას ვიმსახურებ“ — აღმოხდა გულამოსკენილ ლუი საჰას. ფრანგი ფორვარდის უიღბლობაზე ჩივილი აქ დავასრულოთ, „ფულემზე“ კი ერთ ამბავს კიდევ გაახსლებთ. ინგლისურმა კლუბმა 2001 წლის აგვისტოში „ლიონიდან“ სტივ მარლე 18 მილიონ ევროდ შეიძინა. ლონდონელები ფულს ნაწილ-ნაწილ იხდიდნენ, მაგრამ ერთ დღეს გადახდა შეწყვიტეს. მიზეზად საფეხბურთო აგენტის თაღლითობა დაასახელეს, მარლეს ტრანსფერში მაგრად გაგვატურა და ზედმეტ ევროებს გვართმევნო. „ლიონმა“ ფიფაში იჩივლა, მერე „ფულემმა“ ფიფას გადაწყვეტილება (ლონდონელებს ბოლომდე გადახდა დააკისრეს) გაასაჩივრა და ამ კატათავგობანაში საბოლოოდ საარბიტრაჟო სასამართლო ჩაერია, რომელმაც დაადგინა, რომ მოჰამედ ალ ფაიედმა საკუთარი ქისიდან „ლიონს“ 18 მილიონი ევრო ვალი პირნათლად უნდა მიართვას.

გაბა ხუციშვილი

| ქსანეთი                |   |
|------------------------|---|
| სამეფო თასი            | 1/8 ფინალი. I მატჩი   |
| ატლანტიკი 0:0 დამორტვი | ალაგისი 0:0 ვალენსიელი  |
| გალაბა 0:1 სილტა       | 0:1 ვაგნერი (55)  |
| სარამონა 3:1 ბიტისი    | 1:0 დრულინი (49), 1:1 სოკინი (57), 2:1 ველისკა (79), 3:1 დრულინი (89) |
| ვიბარი 1:1 რაალი       | 0:1 გულიტი (37), 1:1 კუვასი (45)                                      |
| ვალენსია 2:2 მასსუნა   | 1:0 ანგულო (26), 2:0 ბარახა (52), 2:1 ვებო (60), 2:2 ალიოზი (89)      |
| ვილიარალი — სავილია    | ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)                              |
| ლევანტი — ბარსალონა    | ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)                              |

| საბპრემიო                   |                              |
|-----------------------------|------------------------------|
| თასის 1/8 ფინალი            | I მატჩი                      |
| ოლიმპიკოსი — ქსანთი 1:0;    | ირაკლისი — არისი 0:0;        |
| პაოკ — ვასტორია 0:1;        | პანათინაიკოსი — ოფი 1:0;     |
| კალამატა — პანიონოსი 0:0;   | პროდევტიკი — აკრატითოსი 0:1; |
| პატრაიკოსი — ხალკიდონა 1:0; | აგროტიკოსი — აგე 0:2         |
| საბასუხო მატჩები            | გაიმართება 14 იანვარს        |

# გვირგვინოსანი



## ასიანი ხარ, გოგო!

კრისტიან ვიერისა და „ინტერის“ სამარადყამო ერთგულების მითს შესაძლოა ბოლო მოეღოს — ერთი ხანია აქეთ-იქით დახეტილობს ქორი, რომ ფორვარდი მომავალ ზაფხულს სხვაგან გადავა.

„მე კარგად ვიცი საფეხბურთო სისტემას: ერთ დღეს ერთ კლუბში რომ ხარ, მეორე დღეს მეორეში გადადიხარ. მიუხედავად ამისა, მსურს „ინტერში“ დავრჩე. ამ კლუბში თავს ბედნიერად ვგრძნობ და ვაპირებ დავივადო, ვნახო რა მოხდება. სეზონის მიწურულს პრეზიდენტს, მასიმო მორატის შევხვდები. ამას ჩვეულებრივ ვაკეთებ ხოლმე. მორატი მეტყვის ჩემთვის დახლოებით რა არის ჩამოდებული. აქამდე იგი თავისთან მტოვებდა...“ — განაცხადა ვიერი. გაზეთებში კი ვითარებას აანალიზებენ და წერენ, რომ ფორვარდი „ინტერიდან“ შეი-

ძლება ორი მიზეზის გამო წავიდეს. მიზეზთაგან პირველი ვიერისა და ქომავთა ერთი ნაწილის გათოვლებული ურთიერთობებია, ხოლო მეორე „პარმას“ თავდამსხმელის, ადრიანოს გამოჩენა. ამბობენ, ადრიანოს და ვიერის ერთად თამაში შეუძლებელია. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ბობო ვიერიმ ბოლო ტურში „ლეჩეს“ კარში (3:1) ერთი გოლი გაიტანა და ეს გოლი გამოდგა მასზე, რომელიც მან „შაელენურჯი“ მაისურით შეაგდო. „ნამდვილად მინდოდა მესაე გოლი გამეტანა — აღნიშნა ვიერი


— მესაე გოლი ჩემთვის მნიშვნელოვანი მიზანი იყო. ისე გამეხარდა, რომ ვიხიე კიდეც (ჩვეულებრივ, ბოლო დროს, ვიერი გოლებს აღარ ზეიმობს და ქომავლებიც სწორედ ამის გამო ერჩიან), თუმცა მინდა განვაცხადო, რომ ფანებთან არაფერი მაქვს გასაყოფი, მათ ბილეთის ფული გადაიხადეს და ამიტომ გრძნობათა გამოსატყვის სრული უფლება აქვთ.“  
აღსანიშნავია, რომ ვიერის მესაე გოლი გაუხარდა თანაგუნდელებსაც, რომლებმაც ზეიმ-ზეიმ თავი გვირგვინით შეუმკეს.  
„ეს ზუმრობაა ასეთი — განმარტა ვიერი — ყველაფერი კი მარკო მატერაცის ატეხილია. ის მიმეორებდა დაფინებით, მესაე გოლი მაქვს გასატანიო.“  
ბაპუნა კელია

ნუ გაგიკვირდებათ ათენის ოლიმპიადაზე, იტალიის ოლიმპიური ანუ 21-წლამდელოთა ნაკრების შემადგენლობაში 36 წლის გენიალური რობერტო ბაჯო რომ იხილოთ — ეს უცნაური მზრი-ხსენებულ ნაკრების მწვრთნელმა, „იუვენტუსის“ (იტილიური) სტოპერმა კლაუდიო ჯენტილემ შესთავაზა საზოგადოებას


## რობერტო ბაჯო? ჯანბილ ბაჯოს სიჭაბუხას უბრუნებს

„ისე ვიცი იმ ტურნირზე, რომელშიც თამაშის უფლებაც ვერ არ მოგვიპოვებია, არაფერი ვთქვა — განაცხადა ჯენტილემ, რომლის გუნდს ოლიმპიადაზე მოსახვედრად ევროპის პირველობაზე ნახევარფინალში გასვლა სჭირდება — თუმცა მანც გაეასწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ ბაჯოზე ვერ არაფერია გარკვეული.“  
მოგვხსენებთ, ოლიმპიადის მონაწილე უკლებლივ ყველა საფეხბურთო გუნდს უფლება აქვს სამი 21 წელზე უფროსი მოთამაშე ია-

ხლოს და როგორც ჩანს, ჯენტილეს თავში აზრად ბაჯოს წაყვანა მოუვიდა. არ არის გამორიცხული, რომ მწვრთნელს ამისკენ თავად ბაჯოს განცხადებამ უბიძგა. ამ ზაფხულს ფეხბურთიდან წავალო. ჯენტილე: „წავიკითხე მისი გამოხატვაში გაზეთებში და არ ვიცი, რას იზამს ის იენისში. რაც არ უნდა გადაწყვიტოს, ბაჯოს ნათქვამს პატივი უნდა ვცეთ. მე უფლება არ მაქვს მის გადაწყვეტილებას მართალი ან ტყუილი ვუწოდო.“  
ბაპუნა კელია



რობერტო ბაჯო



კლაუდიო ჯენტილე


როგორც ამბობენ, იტალიის ნაკრების მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის მართლა უნდა ლონდონური „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ახალი მწვრთნელი გახდეს. „ივინგ სტანდარდის“ თანახმად, წინასწარი მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია

## ლონდონს შეიძლება ტრაპატი მიაღებან ჯოვანის ნავროვავს მამალს უმზადებენ

„ფიქრობ გარიგებას მომავალი აქვს — უთქვამს ტრაპატონის მრჩეველს კლაუდიო ვიგორელოს — ჩვენ ამ თემაზე „სფურზთან“ ვმუშაობთ.“  
ვიგორელოსთან დაახლოებულ მავან ადამიანს ისიც სცოდნია, რომ კლუბისთვისაც მთავარი კანდიდატი დონ ტრაპატი ყოფილა.  
„ტრაპატონის მიწვევა „სფურზსაც“ ძალიან სურს, თუმცა მწვრთნელი ამჯერად მთლიანად ევრო 2004-ისთვის მზადებით არის დაკავებული. სხვა საქმეა, რომ კლაუდიოს იგი საქმის კურსში ჰყავს და აცნობა, რომ კლუბის თავმჯდომარეს და დირექტორს, დევიდ პლიტს უკვე ესაუბრა“ — უთხრა

„ივინგ სტანდარდს“ ზემოხსენებულმა პიროვნებამ.  
გარდა ამისა, არსებობს სხვა წყაროები, რომელთა თანახმად „სფურზის“ შეფი, დენიელ ლევი ორჯერ პირადად ესაუბრა ჯოვანი ტრაპატონის, მოგვხსენებთ, „ტრაპატონის ნათქვამი აქვს, რომ 2004 წლის ევროპის პირველობის შემდეგ „სკუადრა აძურადან“ წავა.  
შეგახსენებთ, რომ ლონდონელებს უკავშირებენ აგრეთვე „პსე ეინდჰოვენის“ მწვრთნელს გუს ჰიდინკს, „სელტიკის“ თავკაც მარტინ ონილს და „ლაციოს“ რობერტო მანჩინისაც.  
ბაპუნა კელია

## სიმონე ნაპირზე დაცურავს






მარკო სიმონე


„მილანის“ შემადგენლობაში არაერთი ჯილდოს მომგები მარკო სიმონეს ბუცების ქაცვები გაცვდა. 35 წლის ფორვარდი იტალიიდან საფრანგეთში 1997 წელს გაემგურა. ფრანგულ ლიგაში პსესა და „მონაკოს“ მაისურებით სულ 133 მატჩში ითამაშა და 50 გოლიც მიითვალა.  
2002 წლის შემოდგომაზე სიმონე „მონაკოში“ ათვალწუნეს და ფორვარდი ნომბერში უგუნდოდ დარჩა. 14-თვიანი უსაქმურობის შემდეგ მას პატრონი გამოუჩნდა. მონაკოდან შორს წასვლა არ მოუწევს. რადგან „მონაკოს“ მეზობელმა „ნიცამ“ ავენიული მეგოლის წაყვანა მიიხსურა და კიდეც მიიღო. სეზონის დასრულებამდე იტალიელი „ნიცას“ შემადგენლობაში ითამაშებს და „ლაჟუარდონებს“ დაეხმარება. ნიცელები ჩემპიონატში საკმაოდ კარგად გამოდიან და სიმონეს კლასის ფორვარდი მათ კიდევ უფრო მოუხდება.  
ბაპუნა კელია



ბაპუნა კელია



კარლტონ კოულმა, ტიტუს ბრამბლა და ნიკოლას მეიკელი ამ საწოლზე ამბები დაატრიალეს.



# ქალით თუ ნაბით? გოგო სექსუალური მასკინგალი იყო, ამტკიცებენ კოული და ბრამბლი

ფეხბურთელები, კარლტონ კოული და ტიტუს ბრამბლი ცხოველებივით იქცეოდნენ. მათ და კიდევ ორმა თინეიჯერი გოგო გააუბრატიურეს — აი, ასე დაგნერდით რამდენიმე თვის წინ, „ცხოველების“ სახელები რომ გვცოდნოდა, მაგრამ მაშინ ყველაფერი ვერსიების და გამოძიების ბინდით იყო მოცული

ალბათ, მიხვდით, ლაპარაკია იმ ამბავზე, ლონდონის „გროსვენორ პაუს ოტელის“ 316-ე ნომერში რომ დატრიალდა. გოგო, რომელმაც ინივლა, 17 წლისაა. ამბობენ, რომ იმ საშინელ ღამეს იყო მონაკვეთი, როდესაც მასთან ერთდროულად სამი ატარებდნენ დროს და კიდევ, ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ 22 წლის მოთამაშე ბრამბლი თავის მეგობარ გოგონასთან იყო გვერდით ოთახში, სანამ გოგონას ეტყოდა ერთი წუთით დამიცადეო, 316-ში გავიდოდა და „იმხეცებდა“.

ელუარდსი, 26 წლის. ეს ხალხი ფაქტობრივად, ვერაფერს უარყოფს, უბრალოდ აცხადებს, რომ რაც მოხდა გოგოსთან თანხმობით და შეთანხმებით იყო. საერთოდ, ასეთ შემთხვევებში სხვას ვერც ამბობენ ხოლმე — როგორ გინდა რამე დაამტკიცო? ბრამბლი, მაგალითად, სულაც აცხადებს, რომ ის კი არ შეუვარდა სხვებს მხეცივით, არამედ მას დაუკაუნეს და მიიპატიჟეს, ხოლო როდესაც ესტუმრა, გოგო თავად გაუმასპინძლდა. ამის შემდეგ — თავად ბრამბლი ჰყვება ასე — თავის ოთახში დაბრუნებულა, სადაც მის ქერა და შიშველ (!) მეგობარ გოგონას უკითხავს რაო, რა უნდოდათო.

ყველაფერი კი ლონდონის „ფანკი ბუდა კლბში“ დაწყებული (28 სექტემბერს), სადაც 316-ე ნომრის მსხვერპლი გოგო (გაყრილი ინგლისელი მამის და იამაიკელი დედის შვილი) მავან 30 წლის კაცთან ერთად შესულა, მაგრამ (პოლიციას ეჭვი გაუჩნდა, რომ...) ფეხბურთელების დანახვაზე თავში სხვა აზრები დატრიალებია. ერთი სიტყვით, ეს ჩვენი გოგო (როგორც ჩანს, ძალიან მოხდენილი და ლამაზი) ფეხბურთელების ჯგუფს ჯერ სხვა კლბში გაჰყოლია, ხოლო შემდეგ სასტუმროში, სადაც ჯგუფს ექვსი ოთახი ჰქონია დაქირავებული. გოგოს რამდენიმე ჭიკა შამპანური კი დაუღვია, მაგრამ მთავრალი ნამდვილად არ ყოფილა და 316-ე ნომერში დროის სატარებლად მიეკლს (კი მაგრამ, პოლიციის ეჭვი?) შეჰყოლია. მიეკლის შემდეგ მასთან ინჟინერ ელუარდსს მოუღებინა, შემდეგ კოულს (რომელიც „ჩელსიში“ „ჩარლტონს“ ათხოვა), ბოლოს კი ბრამბლს.

## ირაკლი კუტუბიძე

შნა, მატჩების წინ ღამეს ეროტიკულ ფილმებს ხშირად ვუყურებ, მაგრამ ჩემთვის მათ ძალია არ წაურთმევიათო. ფრედერიკ ლიუნგბერგს ვერ გაუგია, ფეხბურთის თამაში და გოგის გატანა ლოგინში სჯობს თუ მოედანზე. „არ ვიცი, უპირატესობა რომელს მივანიჭო, მაგრამ ერთი კი ნადია, შეგდება ძალიან სასიამოვნოა“ — ღმობლით თქვა ლიუნგბერგმა, რომელმაც, რა თქმა უნდა, ბაღში ბურთის შეგდება იგულისხმა.

გათა ხუციშვილი

**იტალიური „ინტერის“** პრეზიდენტი (სასიძო მორატი ვალენსი-ელ კოლეკა ხაიმე ორტის დაუკავშირდა, 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ თქვენი არგენტინელი პლეიმიკერი პაბლო აიმარის დაგვიტოვო. აიმარის შეძენა „ნერო-აპურის“ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის სურს, გუნდში ერთი ნომინალური გამთამაშებელი მაინც უნდა გვყავდესო. ორტის პოზიცია უცნობია, თუმც „ვალენსია“ ფინანსურ კრიზისშია და შესაძლოა, აიმარს იანვარშივე შეეცლიოს.



**ინგლისური „ბოლტონის“** იამაიკელი მცველი რიკარდო გარდნერი დასავადა და სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. გარდნერმა ტრავმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩისას მიიღო — მე-15 წუთზე ღარუნ ფლეტჩერთან შეჯახებისას მუხლის მყესები გაუწყდა. მედიკოსების აზრით, არაა გამორიცხული, მას ოპარაცია გაუკეთონ.

**იტალიური „მილანის“** არგენტინელმა ნახევარმცველმა ფერნანდო რედონდომ „ბოლტონის“ მწვრთნელი სემ ალარდაისი უარით გაისტუმრა — მართალია, „მილანის“ ძირითადში თითქმის ვერ ვხვდები, მაგრამ პრემიერლიგის საშუალო დონის გუნდში თამაში არ მზიბლავსო. ალარდაისს 34 წლის ნახევარმცველი ჯეი-ჯეი ოკოჩას შემცვლელად ესახებოდა, ნიგერიელი თავის ეროვნულ გუნდშია მიწვეული აფრიკის ეროვნებათა თასზე სათამაშოდ და „ბოლტონს“ კარგი ხნის მანძილზე ვერ დაეხმარება.

**ფრანგული „რენმა“** ლონდონური „ჩელსის“ აგენტები უარით გაისტუმრა, ჩეხეთის ნაკრების მეკარე პეტერ ჩეხს არ დაგიტოვებო. „ჩეხი სეზონს „რენში“ ჩაამთავრებს, მერე კი ვნახოთ“ — ამბობენ ფრანგები. შეგახსენებთ, ჩეხს ერთხანს ესპანური „ბარსელონა“ ეკურკურებოდა, თუმც საქმე წინ არ წასულა.

**მსპანური „სელტამ“** ლონდონური „არსენალის“ ნიგერიელი თავდამსხმელ ნვანკო კანუს დაადგა თვალი და სურს, ფორვარდი იანვარშივე, ჰამბურის სატრანსფერო სეზონის დასურვამდე გადაიბიროს. „არ ვიცი, ლონდონელები კანუს მოგვეყიდიან თუ არა, თუმც მის იჯარით აყვანაზეც არ ვიტყვით უარს“ — ამბობს გალისიელთა სპორტული დირექტორი ფელიქს კარნერო „სქაისპორტთან“ ინტერვიუში.

**ნიგერიელი ნახევარმცველი** ჯორჯ ფინიდი ესპანურ „მალიორკაში“ გადავიდა. კონტრაქტის დეტალებზე არაფერია ცნობილი, თუმც ბალეარებმა სხვა ინფორმაცია გაავრცელეს — „მალიორკას“ ბრემენის „ვერდერის“ უნგრელი ჰავებეკის კრისტინ ლისტემის ხელში ჩაგდებაც მოუწადინებია. შედეგაა თუ არა ტრანსფერი, არავინ იცის.

**იტალიური „მილანის“** ფორვარდმა ფილიპო ინმაგამ „რომასთან“ ჯახი ტრავმის გამო რომ გამოტოვა, იცით. მას მუხლი აქვს დაზიანებული. გუმინ კი გაირკვა, რომ პიპო ფეხბურთისგან სულ ცოტა, 20-30 დღით კიდევ დაისვენებს. ცხადია, ეს ამბავი „როსონერის“ თავაკაც კარლო ანელიოტის გულზე არ მოეფინებოდა, მით უფრო, რომ „მილანის“ ლაზარეთში ინმაგის გარდა კიდევ ხუთი ფეხბურთელია: კრისტინ აბიატი, ალესანდრო ნესტა, კახა კალაძე, მასიმო ამბროზინი და იონ დალ ტომასონი.


**მსპანური „ბარსელონას“** იტალიური „სიენას“ ფორვარდი როდრიგო ტადეი სურს. 21 წლის თავდამსხმელმა სერია A-ს მატჩებში უკვე რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაატარა და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო. მართალია, „სიენა“ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს ადვილად ვერ ელევა, მაგრამ არც შესაძლო ტრანსფერით ხელის მოთბობა აწყენდა — 1 მილიონ 500 ათასი ევრო, ესაა ტადეის ფასი.

| 19.00      | 5204 | ჩარლტონი-ველვერამპტონი  | 1,85 | 1,75 |
| 19.00      | 5205 | ფულემი-ვევერტონი        | 1,8  | 1,8  |
| 19.00      | 5206 | ლიდსი-ტოტენჰემი         | 1,85 | 1,75 |
| 19.00      | 5207 | ლივერპული-ასტონ ვილა    | 1,8  | 1,8  |
| 19.00      | 5208 | პორტსმუთი-სიტი          | 1,8  | 1,8  |
| 21.00      | 5209 | კიევო-უდინჟე            | 1,75 | 1,85 |
| 00.30      | 5211 | სოსიედადი-რეალი         | 1,95 | 1,65 |
| 11 იანვარი |      |                         |      |      |
| 18.00      | 5212 | ლესტერი-ჩელსი           | 1,9  | 1,7  |
| 20.05      | 5213 | მანჩესტერი-ნიუკასლი     | 1,95 | 1,65 |
| 18.00      | 5214 | ემპოლი-ანკონა           | 1,65 | 1,95 |
| 18.00      | 5215 | ლაციო-ბრეშა             | 1,9  | 1,7  |
| 18.00      | 5216 | მილანი-რეჯინა           | 1,9  | 1,7  |
| 18.00      | 5217 | პერუჯა-რომა             | 1,85 | 1,75 |
| 18.00      | 5218 | სამპდორია-იუვენტუსი     | 1,7  | 1,9  |
| 18.00      | 5219 | სიენა-პოდენა            | 1,65 | 1,95 |
| 23.30      | 5220 | ლენინ-ბოლინია           | 1,65 | 1,95 |
| 20.00      | 5221 | ალბასტრე-ვალენსია       | 1,75 | 1,85 |
| 20.00      | 5222 | ოსასუნა-სევილია         | 1,7  | 1,9  |
| 20.00      | 5223 | ბარსელონა-სარაგოსა      | 1,95 | 1,65 |
| 20.00      | 5224 | დეპორტივო-რასინგი       | 1,9  | 1,7  |
| 20.00      | 5225 | მალიორკა-სელტა          | 1,75 | 1,85 |
| 20.00      | 5226 | მურსია-ესპანიოლი        | 1,75 | 1,85 |
| 20.00      | 5227 | ბეტისი-მალაგა           | 1,75 | 1,85 |
| 20.00      | 5228 | ვილიარეალი-ვალიადოლიდი  | 1,75 | 1,95 |
| 24.00      | 5229 | ატლეტიკო-ბილბაო         | 1,85 | 1,75 |


**I ტაიმის შედეგი**

| 10 იანვარი |      |                         | I    | X    | 2    | 1-X  | 1-2  | X-2  |
|------------|------|-------------------------|------|------|------|------|------|------|
| 19.00      | 5001 | არსენალი-მიდლსბრო       | 1,5  | 3,2  | 7,0  | 1,02 | 1,23 | 2,19 |
| 19.00      | 5002 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2,7  | 2,05 | 3,6  | 1,16 | 1,54 | 1,3  |
| 19.00      | 5003 | ბლექბერნი-ბოლტონი       | 2,4  | 2,1  | 4,2  | 1,11 | 1,52 | 1,4  |
| 19.00      | 5004 | ჩარლტონი-ველვერამპტონი  | 1,85 | 2,35 | 5,6  | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 19.00      | 5005 | ფულემი-ვევერტონი        | 2,25 | 2,1  | 4,8  | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 19.00      | 5006 | ლიდსი-ტოტენჰემი         | 2,8  | 2,1  | 3,4  | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 19.00      | 5007 | ლივერპული-ასტონ ვილა    | 1,9  | 2,25 | 6,0  | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 19.00      | 5008 | პორტსმუთი-სიტი          | 2,8  | 2,1  | 3,4  | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 21.00      | 5009 | კიევო-უდინჟე            | 2,7  | 2,05 | 3,6  | 1,16 | 1,54 | 1,3  |
| 00.30      | 5011 | სოსიედადი-რეალი         | 4,6  | 2,1  | 2,3  | 1,44 | 1,53 | 1,09 |
| 11 იანვარი |      |                         |      |      |      |      |      |      |
| 18.00      | 5012 | ლესტერი-ჩელსი           | 5,6  | 2,25 | 1,95 | 1,6  | 1,44 | 1,04 |
| 20.05      | 5013 | მანჩესტერი-ნიუკასლი     | 1,8  | 2,4  | 6,0  | 1,02 | 1,38 | 1,71 |
| 18.00      | 5014 | ემპოლი-ანკონა           | 2,2  | 2,1  | 5,0  | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 18.00      | 5015 | ლაციო-ბრეშა             | 1,8  | 2,35 | 6,0  | 1,01 | 1,38 | 1,68 |
| 18.00      | 5016 | მილანი-რეჯინა           | 1,4  | 3,4  | 7,5  | 1    | 1,17 | 2,33 |
| 18.00      | 5017 | პერუჯა-რომა             | 5,0  | 2,1  | 2,2  | 1,47 | 1,52 | 1,07 |
| 18.00      | 5018 | სამპდორია-იუვენტუსი     | 4,6  | 2,1  | 2,3  | 1,44 | 1,53 | 1,09 |
| 18.00      | 5019 | სიენა-პოდენა            | 2,4  | 2,05 | 4,4  | 1,1  | 1,55 | 1,39 |
| 23.30      | 5020 | ლენინ-ბოლინია           | 2,8  | 2,05 | 3,5  | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 20.00      | 5021 | ალბასტრე-ვალენსია       | 4,6  | 2,1  | 2,3  | 1,44 | 1,53 | 1,09 |
| 20.00      | 5022 | ოსასუნა-სევილია         | 2,35 | 2,05 | 4,6  | 1,09 | 1,55 | 1,41 |
| 20.00      | 5023 | ბარსელონა-სარაგოსა      | 1,85 | 2,35 | 5,6  | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 20.00      | 5024 | დეპორტივო-რასინგი       | 1,85 | 2,35 | 5,6  | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 20.00      | 5025 | მალიორკა-სელტა          | 2,5  | 2,05 | 4,0  | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 20.00      | 5026 | მურსია-ესპანიოლი        | 2,5  | 2,1  | 3,8  | 1,14 | 1,5  | 1,35 |
| 20.00      | 5027 | ბეტისი-მალაგა           | 2,5  | 2,1  | 3,8  | 1,14 | 1,5  | 1,35 |
| 20.00      | 5028 | ვილიარეალი-ვალიადოლიდი  | 2,25 | 2,1  | 4,8  | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 24.00      | 5029 | ატლეტიკო-ბილბაო         | 2,2  | 2,1  | 5,0  | 1,07 | 1,52 | 1,47 |

**1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო**

|            | 1/1  | 1/X                     | 1/2 | X/1  | X/X  | X/2 | 2/1 | 2/X  | 2/2  |      |
|------------|------|-------------------------|-----|------|------|-----|-----|------|------|------|
| 10 იანვარი |      |                         |     |      |      |     |     |      |      |      |
| 19.00      | 5101 | არსენალი-მიდლსბრო       | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 15,0 |
| 19.00      | 5102 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3  | 20,0 | 10,0 |
| 19.00      | 5103 | ბლექბერნი-ბოლტონი       | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0  | 20,0 | 10,0 |
| 19.00      | 5104 | ჩარლტონი-ველვერამპტონი  | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 |
| 19.00      | 5105 | ფულემი-ვევერტონი        | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0  | 20,0 | 10,0 |
| 19.00      | 5106 | ლიდსი-ტოტენჰემი         | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0  | 20,0 | 10,0 |
| 19.00      | 5107 | ლივერპული-ასტონ ვილა    | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 |
| 19.00      | 5108 | პორტსმუთი-სიტი          | 3,6 | 10,0 | 20,  |     |     |      |      |      |

# ...შეხვედრის გოჭი ჩემოდანში



## ვიქტორ სანიკიძემ ვატო ნაცვლიშვილს პარიზში ქართული სუფრა ჩაუტანა

ვახტანგ ნაცვლიშვილი ნაღდად ვერ დაიკვებინა, ახალ ნელს გემოზე მოკულებინა. პირველ იანვარს დილის 10 საათზე ვატო „დიკონის“ ვარჯიშზე გამოცხადდა – ასე იყო ორშიც, სამშიც, ოთხში კი დიკონელები „პო ორტეზს“ შეხვდნენ საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ გურში. ახალ ნლაშვილს მაინც დაესვენა... 29 დეკემბერს ვატომ „ოლ სტარში“ მოიძინა ოფლი და საფრანგეთის ჩემპიონატის ტევიონერთა გუნდს მ ქულა მიაშველა

— ამდენი მაყურებლის წინაშე აქამდე არ მითამაშია. პარიზის 25-ათასიანი დარბაზი სავესე იყო. ასეთი ტიპის თამაშები ხომ შოუა, ფრანგებს კი ვერაფერს შეეცილება ამ საქმეში. გრანდიოზული სანახობა გაიმართა, „ოლ სტარის“ მატჩთან ერთად სხვადასხვა სახის კონკურსები მოეწყო.

— კი მაგრამ, 25-ათასიანი დარბაზი სად იყო, ამხელა აუდიტორია ნბა-ს თამაშებზეც იშვიათად იკრებიდა...

— რა ვიცი, პარიზის მთავარი არენაა, ყველა გრანდიოზულ მოვლენას მასპინძლობს. ამ დარბაზში კალათბურთს წელიწადში ერთხელ თამაშობენ, ისიც „ოლ სტარს“, თორემ პარიზის „რასინგს“ 2-ათასიანი დარბაზი აქვს და ისიც ძლივს ივსება.

— რომელიმე კონკურსში ხომ არ მივიღია მონაწილეობა?

— ერთი, ჩატენების კონკურსში თუ გამოვიღოდი, მაგრამ იქ ისეთი გიჟები შეიკრიბნენ, არც კი მიფიქრია მათთან გაჯიბრება. სამი-ოთხი კაცია, პროფესიონალი კალათბურთელები არ არიან, მაგრამ ისე ტენიან, ნებისმიერს შეშურდება. ეს პრიზიც სულ ამ ბიჭებს შორის ტრიალებს. ოლსტარელები მასში არც მონაწილეობენ. ერთმა მაინც გარისკა და დიდი სირცხვილიც ჰქამა — ისეთი ილეთები ნახა, პირველი რაუნდის შემდეგ უარი განაცხადა ბრძოლის გაგრძელებაზე.

— ესე იგი, მთელი ენერჯია მატჩს შეაღიე...

— ენერჯია რა, პრინციპული მატჩი არ იყო და ყველა ცდილობდა, სანახაობრივად ეთამაშა. მე 12 წუთში 8 ქულა და 4 მოსხნა დაგავროვე.

— სანახაობრივ ილეთებს, სა-

ქართველოში ბლომად გვიჩვენებდი, ფრანგულ „ოლ სტარში“ თუ გამოვივიდა?

— ჩატენით არ ჩამიტენია, მაგრამ ერთხელ მაინც ამოვაგმინე 25 ათასი კაცი, როცა მეტოქეს მოხდენილად დავაფარე. თამაში კი ფრანგების ნაკრებმა მოიგო, რაც ლამის ტრადიციად ქცეულა, ლევიონერებს „ოლ სტარში“ დიდი ხანია, არ უმარჯვიათ.

— საფრანგეთის ჩემპიონატში არცთუ დიდი ხანია, თამაშობ, ლიგის ლიდერებსაც ალბათ არ იცნობდი, ამ მატჩში კი კარგი შანსი გქონდა, დაახლოებოდი მათ...

— კი, დაუახლოვდი, განსაკუთრებით ლევიონერებს, მატჩამდე ხომ რამდენიმე დღე ერთად ვვარჯიშობდით. თითქმის ყველა ახლოს გაეცანი, უბრალო ბიჭები არიან, არაფრით ამჟღავნებენ რომ თავიანთი გუნდების ლიდერები არიან. ერთი-ორჯერაც რომ გვევარჯიშა და შევთამაშებულყავით, ალბათ მოვიგებდით.

— ეს კარგი და, სამ დღეში ახალი წელიც დადგა. როგორ შეხვდი 2004 წელს?

— ახალ წელს მხოლოდ შევხვდი და მეტი არაფერი, პირველში დილის 10 საათზე ვარჯიში გვექონდა.

— ეგ რატომ, ფრანგები არ აღნიშნავენ ახალ წელს?

— როგორ არა, მაგრამ 4 იანვარს „პო ორტეზს“ ვხვდებოდით და მწვრთნელმა სიქა გაგვაცალა, ორშიც გვევარჯიშა და სამშიც.

— ტრადიციულ სუფრას მაინც გაშლიდით...

— რა თქმა უნდა, პარიზი-თბილისის რეისი არ მოგვიშალოს დემერთმა. პორტუგალიაში ვერაფერს მიგზავნიდნენ, დანატრებული ვიყავი ქართულ სამზარეულოს. საახალწლოდ თბილისიდან ვიქტორ სა-

ნიკიძე დაბრუნდა და ხორავი ჩამოგვიტანა. თბილისში მეც უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ „ოლ სტარის“ გამო დავრჩი, თან ჩემი მეუღლე ნინო ფეხმძივდა. ახლა ვიქტორს ხუმრობით ვეუბნები ხოლმე, ჩემი თოვლის ბაბუაც შენა ხარ და მეკვლეც, შენ რომ არა, ვერც გოჭის ხორცს შევჭამდით და ახალ წელსაც ფრანგული ღვინით დავილოცებოდით-მეთქი.

— დილის 10 საათზე ვარჯიში გქონდა და ახალი წლის დამესღვინო დალიე?

— აბა, რას ვინამდი, მე და სანიკიძემ საკმარისად ვსვით. ახალ წელს თბილისის დროით შევხვდით, საღამოს 9 საათი იყო და გამოსაფხიზლებლად შედარებით მეტი დრო გვექონდა.

— მერე როგორი ვარჯიში გამოვივიდათ ნაბახუსევს?

— განა მარტო ჩვენ ვიყავით თვალდასივებულები, მთელი გუნდი ნაქიფარი მოვიდა. ევროპელებმა ზომა კი იციან, მაგრამ ახალი წელი ახალი წელია და 31-ში დიკონელებსაც კარგად მოუღებინათ.


— „პო ორტეზთან“ რა ქენით?

— წავავეთ, თან საკმაოდ დიდი სხვაობით. „პო ორტეზი“ ძლიერი გუნდია, სულ ასე იყო და წლეულსაც ჩემპიონი გახდება ალბათ.

— ამ გუნდში გიორგი მდივანი თამაშობს, ხომ არ გინახავს?

— არა, მდივანს არ უთამაშია, სამაგიეროდ, საფრანგეთის ჩემპიონატში ვიქტორ სანიკიძის დებიუტი სწორედ „პო ორტეზთან“ შედგა. 5 წუთი ითამაშა და 2 ქულა ჩააგდო. „დიკონის“ ორმა ნომერმა იმ დღეს ოპერაცია გაიკეთა და სანიკიძესაც ხშირად მოუწევს თამაში, მას აქ ძალიან ემადლიერებიან.

ირაკლი პერტანი



დენვერში ნაგინები კობი ბრაიანტი კარმელო ენტონიმაც გააწვალა

## ანტი-ბრაიანტიანი ჯოჯის დენვერში აბა გაახსენას

7 იანვარი

**დეივარი 113:91 ლიკაინი**  
დეივარი: მილერი (20), ლენარდი (16), ენტონი (20), ნენე (16), კემბი (1); ბოიკინისი (22), ანდერსონი (8), ვაიტი (4), ტრუპანიე (4), ელსონი (2), ბოუნი, ცმიტინი (4 წუთი)  
ლიკაინი: პეიტონი (22), ბრაიანტი (27), ჯორჯი (3), მედვედენო (7), გრანტი (3); რაში (14), უოლტონი (5), კუპი (4), ფიშერი (4), სემსონი (2)

**პოსტონი 101:93 ორლანდო**  
პოსტონი: ბირსი (19), ჯეიმსი (21), ვე-ლზი (13), მიში (11), ბლუნტი (20); მა-კარტი (12), დევისი (12), ბენსი (6), ჯონსი (1)  
ორლანდო: ლუ (10), ბოგანსი (18), მა-კრეიდი (28), პოგარდი (13), დეკლერ-რი (2); გუდენი (8), გირინჯი (8), ნეილონი (2), სტრიკლენდი (2), შან-ტერი (2)

**ბოსტონი 75:69 კლივლანდი**  
ბოსტონი: კარტერი (15)  
კლივლანდი: ჯეიმსი (21)

**დეტროიტი 85:66 პიუსტონი**  
დეტროიტი: შამილტონი (16)  
პიუსტონი: ფრენსისი (15)

**მილუოკი 95:87 ფინიქსი**  
მილუოკი: რედი (23)  
ფინიქსი: ჯონსონი (25)

**ფილადელფია 100:80 კლიპერსი**  
ფილადელფია: აივონსონი (20)  
კლიპერსი: ბრენდი (26)

**მაიაში 102:95 ჩიკაგო**  
მაიაში: ჯონსი (27), ოდომი (25)  
ჩიკაგო: დუპრი (18)

**ნიუ ორლანდი 97:87 ვაშინგტონი**  
ნიუ ორლანდი: დევისი (28)  
ვაშინგტონი: პიუზი (15)

**დალასი 105:98 გოლდენ სტაიტი**  
დალასი: ნოვიცკი (23)  
გოლდენ სტაიტი: რიჩარდსონი (27)

**სიატლი 104:93 საკრამენტო**  
სიატლი: ალენი (22)  
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (19)

დენვერში შამანებს რა უნდათ, თუმცა ამ ქალაქის მაცხოვრებლებს იმის ძალა მაინც შესწევთ, სუპერ-ვარსკვლავზე ზემოქმედება მოახდინონ. წლეულს წამოჩიტიული „ნა-გიტსი“ გუშინწინ მასპინძლობდა

ბობოლა „ლეიკერსს“ და იმ საღამოს „პეპსი სენტერში“ მისულმა 20 ათასმა გულშემატკივარმა ნაირგვარი შემახილებითა თუ შელოცვებით კალიფორნიელთა ფრთამოტეხილ ლიდერს თავგზა აუბნია, რაც ფაქტობრივად დენვერელთა გამარჯვებას ნიშნავდა.


რატომ? შაკილ ონილისა და კარლ მელოუნის არყოფნაში „ლეიკერსი“ რიგითი მოკვავია და აგერ, მიჯრით მეთხე მატჩიც წააგო. 20 ათასმა დენვერელმა კობი ბრაიანტს უყვირაო, ვთქვით და მასპინძლებს ლეიკერსელის ლანძღვის საბაბად კოლორადოს შტატში მისი ზაფხულში ჩადენილი ძალადობა ჰქონდათ. მიიღებდა კობი ბურთს და „პეპსი სენტერიც“ იხუვლებდა — „დამნაშავეა, დამნაშავეა!“ არადა, ორი კვირის წინ, როცა ეს გუნდები ლოს ანჯელესში შეასკდნენ, ბრაიანტი სასამართლო პროცესის გამო დაგვიანებით ჩაერთო იმ მატჩში, თუმცა სირენის თანხლებით გადამწყვეტი ბურთი მაინც ჩაუგდო დენვერელებს. ეს რომ ახსოვდათ, უფრო ომბიანად გრგვინავდნენ კოლორადოელები და აკი საქმეც გაჩარხეს.

„აქამდეც დამჩნავდნენ ათას სულელებს, მაგრამ კი არ ვუსმენდი — კომენტარი გააკეთა ბრაიანტმა — მე მხოლოდ სათამაშოდ გავდივარ მოედანზე და ასე იყო ახლაც.“

გულდასაწყვეტია, რომ როცა „დენვერმა“ მოგებებს გემო გაუგო, ნიკა ცქიტიშვილი მაშინ დასვეს სათადარიგო სკამზე. წინა სეზონში დენვერის იმედად გამოცხადებულმა „სკიტამ“ 4 წუთი ითამაშა და სრულიად ამოღო.

უქმობა დასწამდა ზაზა ფაჩულიასაც. მისმა „მეჯიქმა“ კი ზედზედ მეექვსედ წააგო.

ირაკლი პერტანი



სტივენ მარბერი ახლა „ნიუ იორკის“ მთავარი იმედია

## ნიუ იორკმა იმედი მოიგონა

აიზია ტომასმა „ნიუ იორკ ნიქსის“ პატრონები და ქომაგები დიდხანს არ ალოდინა. „ნიქსის“ საკალათბურთო საქმეთა ახალმა გამრიგებ „ფინიქსთან“ ერთი დიდი, 8-კაციანი გაცვლა გაჩარხა და ხალხისთვის ახალი „იმედი“ მოიგონა. მას სტივენ მარბერი ჰქვია.

„ჩვენ დიდი ხანი ვეძებდით სუპერგამთამაშებელს და ბოლოს და ბოლოს სტივი მოვიხელეთ. ასეთები ძნელად იშოვებიან“ — თავდაცვ ოდინდელმა სუპერგამთამაშებელმა აიზია ტომასმა პირველ რიგში „ნიუ იორკს“ დაბალი და სხარტი მოთამაშე უშოვა, რომელსაც ყოველ მატჩში საშუალოდ 20-25 ქულასთან ერთად სოლიდური ოდენობით პასების გაკეთებაც შეუძლია, ეს კი გუნდის ათამაშებას ნიშნავს. მარბერი ჯერ მხოლოდ 26

წლისაა, ნბა-ში მე-8 სეზონს ატარებს და აგერ, მესამე გუნდის გამოცვლა მოასწრო. ის 3 წელზე მეტი ხნით ვერც „მინესოტაში“ დამკვიდრდა, ვერც „ნიუ ჯერსიში“ და ვერც „ფინიქსში“. ახლა კი გაიმახნის, „ნიუ იორკი“ სწორედ საჩემო გუნდიაო, მაგრამ ის ჯერ კიდევ 1996 წლის დრაფტზე ამბობდა, ბედნიერი ვარ, „მინესოტაში“ რომ მოვხვდი, მე და კევინ გარნეტი ამ გუნდს ისე ავაყვავებთ, როგორც ოდესღაც მეჯიქ ჯონსონმა და ქარიმ აბდულ-ჯაბარმა „ლეიკერსი“, მაგრამ მერე თავად აუტეხა სხვაგან გამცვალეთო. დემერთმა ხელი მოუშარით...

ისე, მარბერი შინ მოხვდა — ნიუ იორკში, ბრუკლინის ქუჩებში შობილ-გაზრდილა და აქ უსროლია პირველი სამქულიანები.

„ნიუ იორკში“ მარბერის „ფინიქსიდან“ მოყვნი რამდენიმე წლის წინ მასზეც დიდი გაქანების ხოლო შემდეგ ტრავმებისგან ჩაქოლილი ნახევარგამთამაშებელი პენი ჰარდევეი და მავანი სეზარ ტრიბანსკი. ეს ხალხი „ნიუ იორკმა“ თავისთავად უფასოდ არ მიიღო, „ფინიქსში“ ტრავმანშირი ანტონიო მაკდაიერსი, „ნიქსის“ პირველი გამთამაშებელი ჰოვარდ ეისლი (მარბერის მიღების შემდეგ რაღაც სჭირდებოდა) და მეორე გამთამაშებელი ჩარლი ვორდიც გაგზავნა. გარდა ამისა, „ფინიქსმა“ კიდევ ხურდამი მიიღო პოლონელი ახალბედა მასიეფ ლამპე, უფლებები დრაფტში აყვანილ მილოშ უუიანიჩზე და მომავალი დრაფტების პირველ წრეებში ორი არჩევის გაკეთების უფლება.

სხვათა შორის, „ფინიქსმა“ ოფისშივე დაიწუნა და გაუშვა 9-წლიანი ვეტერანი ჩარლი ვორდი.


# აგროპოლი, იგროპოლი

## ტრაბასის სფონი უილიამსმა გახსნა

მსოფლიოს 55-ე სფონოლო ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ საკმაოდ დროა. 900-ცენისძალიანი ურჩხულები სარტლოდ პირველად ავსტრალიაში 7 მარტს პლუვლდებიან, იანვარ-თებერვალი კი ტრადიციულად, ახალი ბოლიდების პრეზენტაციის და ვარჯიშს დაეთმობა. საზეიმო წარდგენას, ბუნებრივად, შესატყვისი ოპტიმისტური განწყობა ახლავს — გუნდების ბოსებიცა და პილოტებიც ერთხმად გაიძახიან, შარშანდელზე უკეთესი მანქანა გავაკეთეთ და მომავალ სეზონში შედეგით უკეთესი გვექნებაო. ახალი ბოლიდი პირველმა „უილიამსმა“ წარადგინა


## უილიამსი

გუნდი დაარსდა 1968 წელს ფორმულა 1-ში ასპრინტობს 1972 წლიდან 471 რბოლა; 112 ზეგება, 123 პოული; 126 უსწრაფესი წრე; 2347,5 ქულა ჩემპიონის ტიტული - 7 კონსტრუქტორთა თასი - 9 2003 წელს დაიკავა მერე ადგილი (144 ქულა) მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორი სპრ უილიამსი თანამფლობელი და ტექნიკური დირექტორი პატრიკ ჰილი „BMW მორტორსპორტის“ დირექტორი მარინო ტისინი ბოლიდი „უილიამს FW26“ ქრავა BMW P84-V10 საბურავები „პულან პილოტი“ ტესტ პილოტი მარკ ჰენ (მსპანაძე, 29 წლის)



სუან-პაბლო მონტოია

**კოლუგია**  
დაიბადა 1975 წლის 20 სექტემბერს ბოლიტაში ცხოვრობს მონტე კარლოში ცოლიანი სიმაღლე 168სმ; წონა 72კგ დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2001) პირველი გამარჯვება: იტალიის დიდი პრიზი (2001) 50 რბოლა; 3 მოგება; 11 პოული; 9 უსწრაფესი წრე; 163 ქულა ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი: მესამე ადგილი (2002, 2003) „უილიამსში“ 2001 წლიდან




რალფ შუმანერი

**გერმანია**  
დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს პურტ-ჰერმოდსპაიმში ცხოვრობს ზალცბურგში (ავსტრია) ცოლშვილიანი სიმაღლე 178სმ; წონა 73კგ დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1997) პირველი გამარჯვება: სან მარინოს დიდი პრიზი (2001) 115 რბოლა; 6 მოგება; 4 პოული; 7 უსწრაფესი წრე; 235 ქულა ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი: მეოთხე ადგილი (2001, 2002) ასპარეზობდა „ფორდაში“ (1997-98) „უილიამსში“ 1999 წლიდან

„სამეფო რბოლებს“ 61 წლის პატრიარქ სერ ფრენკ უილიამსის საჯინბო ერთ-ერთია იმ ხუთწლიდან, რომელსაც შარშანდელი შემდგენლობა არ შეუცვლია. სუან-პაბლო მონტოია და რალფ შუმანერი უკვე მეოთხე ჩემპიონატში იქროლებენ თეთრ-ლურჯა რაჰებით ერთმანეთის მხარდასარ. ორივენი ტოლები, 28 წლისანი არიან, თუმც რალფს ოთხი სეზონით მეტი გამოცდილება აქვს. სამაგიეროდ, მონტი ფორმულა 1-ში უკვე ტიტულიანი მივიდა — 1999 წელს ამერიკული „კარტის“ სერიის ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც

ოკანენსგაღმელთათვის საკულტო, ინდიანაპოლისის 500-მილიანი ზემარათონის მოგებაც (2000) შეძლო. პატარა შუმის კი ფორმულის გარდა არსად ურბოლია, თუ ყველა პილოტისთვის აუცილებელ კარტინგს არ ჩავთვლით. როგორც ცნობილია, გასული ჩემპიონატის მესამე პრიზიორი მონტოია, რომელიც ლათინური ამერიკის წლის სპორტსმენად დასახელებს, გაისად „მაკლარენში“ გადავა. ამასთან დაკავშირებით ბევრი თვლის, რომ წლეულს, ბოლო სეზონში იგი „უილიამსისთვის“ ნაკლები ჯივრით იბრძოლებს. სუანი



ახალცხვირა „უილიამსით“ მონტოია-შუმანერის ძველი ტანდემი იქროლებს

### ჰოპმანის თასი

პერტი. პარდი. საპრიზო 752 ათასი \$

ჯგუზო A

რუსეთი 2:1 ჩინეთი

მარატ საფინი — ირფი ნოვაკი 6:7 (4:7), 7:6 (8:6), 6:3  
ანასტასია მისკინა — ბარბორა სტრიჟოვა 6:3, 7:6 (7:0)  
საფინი, მისკინა — ნოვაკი, სტრიჟოვა 6:3, 6:7 (1:7), 9:11

ჯგუზო B

სლოვაკეთი 2:1 ავსტრალია

კაროლ კუჩერა — ლეიტონ ჰიუიტი 2:6, 7:6 (10:8), 3:6  
დანიელ პანტუსოვა — ალისია მოლიკი 3:6, 0:3 მოლიკმა შეწყვიტა  
კუჩერა, პანტუსოვა — ჰიუიტი, მოლიკი 6:0, 6:0 (მატი არ გამართულა)

## ლეიტონმა ტონა პინონა

ჰოპმანის თასი გუნდური ტურნირია, რომელზეც რვა ქვეყნის თითო-თითო ქალ-ვაჟი გამოდის. ეს რვა გუნდი ორ ჯგუფად ნაწილდება და ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში ერკინებიან. თასზე მონაწილე მეროგნებს არც საეტიპიო და არც სადაბლიტიო ქულები არ ეწერებათ, რადგანაც ტურნირი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით იმართება, მაგრამ იქ გამოსვლა მაინც პრესტიჟული დროსტარება გახლავთ. ეგ მით უფრო, რომ საქმე ავსტრალიაში ხდება და იქაური ღია პირველობისთვის შესასურებლად ჩინებულ შესაძლებლობას იძლევა. ამ ჯერზე საქმეს ისეთი პირი უნახს, რომ შაბათს გასამართ ფინალში ერთმანეთს მასპინძლები და ამერიკელები შეეხლებიან. ოზეგმა გუმინ თუმც 1:2 დათმეს სლოვაკებთან, მაგრამ ჯამში მათზე უკეთესი სასეტო ბალანსი დაიგროვეს. წინა მატჩებში მათ ორჯერვე 3:0-ით მოგვით უნგრელებისა და ბელგიელებისთვის, მაშინ როცა სლოვაკებმა ჯერ 0:3 დათმეს ბელგიელებთან, ხოლო მერმე ოდენ 2:1 ძლიეს უნგრელებს.



ლეიტონ ჰიუიტი


რაც შეეხებათ ამერიკელებს, რომელთაც ჯეიმს ბლეიკი და ლინდსი დევენპორტი წარმოადგენენ, ისინი ასევე სეტისწაუგებლად გაუსწორდნენ ჩეხებსა და ფრანგებს და რუსებთან დღევანდელი შეხლის წინ უმჯობესსავე ბალანსს მოიძევეს.

ვენ. რუსებმა ხომ ჯერ ფრანგებთან დათმეს 1:2, გუმინ კი იმავე ანგარიშით აჯობეს ჩეხებს. დასამატებელი მხოლოდ ისდა დავერჩა, რომ ავსტრალიელთა ვილა ლეიტონ ჰიუიტი ახლა საუცხოო ფორმაშია და კორტზე მისთვის ჩვეული სიმღვეით დაჰქრის. ასევე რივიანად ჰოპმანობს ოერაყი რუსი მარატ საფინი, ვინაც — შეგახსენებთ — შარშან იმდენი იტრავიანა, რომ რეტირების 77-ე საფეხურამდე ჩაქვეითდა.

### QATAR EXXON MOBIL OPEN

დოჰა. პარდი. საპრიზო 1 მილიონი \$

**გაორა ვრა**  
იონას ბიორგმანი (შვედეთი) — ენდი როდიკი (1, აშშ) 6:3, 6:4; სპასტინა ბრუშანი (4, საფრანგეთი) — ზოგდან ულირაზი (ჩეხეთი) 6:1, 6:4; ტინ პინგა-60 (7, ბრიტანეთი) — სუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3, 6:4; აბუსტინ აბლინი (8, არგენტინა) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 4:6, 6:4, 7:5; პინგა-ტინა ლი (სამხრეთ კორეა) — შტეფან კუბეც (ავსტრია) 6:4, 6:4



იონას ბიორგმანი

სამოაბასალწლო ბახუსიანობის შემდეგ კორტებზე მობრუნებულებს წერა უმაღვე ზორბა სენსაციის შესახებ გვიხდება. ვეტერანმა შვედმა იონას ბიორგმანმა ერთმილიონიანი დოჰაობის მეორე წრეში ამქრის პირველმეოგნე, ამერიკელი ენდი როდიკი გამოიჭირა და სულ რაღაც 70 წუთში მოდრიკა. აღმატებულ მეტოქეს მან თითო სეტში თითო გეიმი წართვა და ექვსი ეისის წილ ჯამში რვა გამჭოლი მოწოდება აგემა. ერთოვანი არდადაგების შემდეგ როდიკი ოდნავ მოჟანგული ჩანს და საიმისოდ, რათა 19 იანვარს დასაწყებ ავსტრალიის ღია პირველობაზე ანგარიშასაწვევ კაცად წარდგეს, მეტი ბუქნაობა მოუწევს. სხვაფრთვ: შარშან იქ წვალებით მოპოვებული ტიტული წაჰკარგეს ავსტრიელ შტეფან კუბეცს, ვინაც სამხრეთკორეულ ლის შემოემარცხა. ეს ლი იქიდან გეხსომებათ, რომ კარიერის პირველი ტიტული ერთი წლის წინ იანვარშივე, ოდონდ სი-

დნეში მოიხვეჭა და ჩერე მთელი სეზონი გახვრეტილი, უხალთუნის საღირალი არაფერა უკეთებია. ზედიზედ მერვე გამარჯვება მიირიცხა ნატიფმა; ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა. დოჰას ორგზის ფინალი-სტმა კუნძულელმა თავის მეოთხე პირად შეხლამი მეორედ აჯობა არგენტინელ სუან იგნასიო ჩელას, ხოლო მერვე გამარჯვებო რომ ვთქვით, ეგ შარშანდელი ოქტომბრიდან ითვლება, როცა მან პარიზის მასტერსტურნირზე იპირველა.



სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი საქართველოს 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენს ელდარ კურტანიძეს აჯილდოვებს

პაპიანი კეთილშობილ ფოტო

# კვალივით ახალ წელს გისურვებთ!

**ზარზანდელი წელი** მართლაც ყველაზე ლამაზი და დოვლათიანი აღმოჩნდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ვარდების უსისხლო რევოლუციას რა დავა ვიწყებ და, სპორტში ხომ მძღვლების წვიმა წამოვიდა. აქეთ ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი პირველი ქართველი ფეხბურთელი და იქით მსოფლიოს ჩემპიონატებში მოპოვებული ორი ოქროს, სულ კი ხუთი მედალი.

სპორტული წელი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ მოწყობილ მშენი-

ერ საღამოზეც, უკვე ძველი ტრადიციისამებრ „შერატონ მეტეხი პალასში“ საახალწლო ნაძვის ხესთან შეჯამდა. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის 38-ე გამოკითხვის შედეგად, ისევე როგორც შარშან, ჩვენი ამქრის რჩეული გახდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძე, რომელიც ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად მესამედ აღიარეს. ასევე მსოფლიოს ჩემპიონი მანუჩარ კვიციანი გამოკითხვაში მეორე გახლდათ, მესამე ადგილი კი კახა კალაძეს შეხვდა.

# სუფრა კარგია, ხალჩა საჭირია

**ბასულ წელს** ქართული სპორტისთვის ყველაზე მეტი მდლის მომხვეჭმა მოჭიდავეებმა წლეულს წინასაოლიმპიადო სამზადისი სხვა სახეობებზე ადრე განახლეს ვაკის დარბაზს მათ მაშინ მიამურეს, ბევრ ქართულ ოჯახში ჯერ კიდევ შემორჩენილი საცივითა და გოზინაყით გაფორმებულ სუფრებზე 2003-ის სამადლობელი და უფრო იმედანი 2004-ის სადღევრძელოები რომ ისმებოდა.

ფედერაციამ კი თავისუფალთა 2004 წლის საქართველოს ჩემპიონატი სულაც 10-11 იანვრისთვის დაგეგმა, თუმცა ამ დღეებში გადაწყვეტილება შეცვალა და ტურნირის მხოლოდ ორ წონაში ჩატარება ირჩია.

სექტემბრის ნიუიორკულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ქართველ თავისუფლებს გუნდურ ოქროსთან ერთად ათენის ხუთი ლიცენზიაც მოუტანა. დავით პოდოსანს (60კგ), ოთარ თუშიშვილს (66კგ), რევაზ მინდორაშვილს (84კგ), ელდარ კურტანიძეს (96კგ) და ალექსი მოდუბაძეს (მძიმე) საბერძნეთში წასვლა უკვე განადგობილი აქვთ. საგზურების გარეშე დარჩენილ ახალგაზრდა ბესიკ გოჩაშვილსა (5,5კგ) და შედარებით გამოცდილ გელა სა-

ლირაშვილს (74კგ) კი ნუგეშად წლეულს გასამართი ორი სალიცენზიო ტურნირი დადარჩათ, თუმცა მანამდე შიდა ფრონტზე მოუწევთ შინაური კონკურენციის გადალახვა.

ზგალ-ზეგ ფალავანთა კლუბში საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ ამ ორ წონაში გაიმართება. იანვარ-თებერვალში ბრატისლავასა და ვარნაში ჩასატარებელ სალიცენზიო ტურნირებზეც მისი მომგებნი წავლენ. უკვე ლიცენზიამოპოვებულთა ზემოაღნიშნულ ტურნირებზე ჭიდაობა ადრევე გამოირიცხა. მათთვის ოლიმპიადამდე სერიოზული გამოცდა აპრილში გასამართი ევროპის ჩემპიონატი იქნება. მათში კი ალბათ საქართველოს სრულყოფილ პირველობაზეც წაივარჯიშებენ.

თავისუფალთა „ბიძაშვილ“ ბერძენ-რომაელებს ათენში სრული გუნდით წასასვლელად შარშან სამი საგზური დარჩათ მოსასაპოვებელი. ამ სამი ვაკისის პატრონთაც საქართველოს ჩემპიონატი გამოავლენს, რომელიც, წინასწარი ვარაუდით, თვის ბოლოს გაიმართება.

ოთარ მაღლაკელიძე

# მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდაში. ფინალი ფლერიმ დაისვენა და გაასვენა

**უფვირულ** კანადელთა უანდერმეკარე მარკ-ანდრე ფლერი ნამდვილად არ ელოდა ასეთ დასასრულს. „პიტსბურგის“ ძირითად მეკარედ და მომავლის იმედად ქცეულმა 19 წლის ბიჭუნამ უკვე ისე გაითქვა სახელი, რომ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იოლ გასეირნებდა ჩათვალა. თავიდან მართლაც ასე იყო. როგორც წინასწარ ეტაპზე, ასევე ნახევარფინალში ჩეხებთან (7:1) ფლერი პრაქტიკულად ისვენებდა, მაგრამ პარალელური კურსით ფინალისკენ აშშ-ს ნაკრები მიქროდა და ფინალიც ტურნირის მშვენიერად იქცა.

გადამწყვეტ თამაშამდე კანადელებს მეტ შანსს აძლევდნენ. ეხუმრებით, მათ შემადგენლობაში უკანასკნელი დრაფტის პირველ რაუნდში გასული 12 მოთამაშე და „მომავალი უეინი“, 17 წლის ვუნდერკინდი სიდნი კროსი იყო. ამიტომაც ორი პერიოდის შემდეგ კანადა 3:1 რომ დაწინაურდა, არავის გააკვირვებია. მაგრამ ბოლო პერიოდში ამერიკელებმა სასწაული მოახდინეს. ჯერ

პატრიკ ოსალივანს და ტაიან კესლერმა გაათანაბრეს, 5-5 წუთში კი ნამდვილი ტრაგედია (ვინაიდან, კანადელთათვის) დატრიალდა. მწითური ოსალივანი ელვასავით გასრიალდა მარჯვენა ფრთაზე, მაგრამ ბოლო მიმენტში შიბაზე კონტროლი დაკარგა. რუზინის დისკი მშვიდად მიუცურდა ფლერის და მას გვერდზე რომ მოეგერიებინა, არაფერი მოხდებოდა, მაგრამ კანადელთა მეკარემ პირდაპირ მცველ პრეიდონ კობერნს მორატყა და რეკონსტრუქციით შიბა კარში შესრიალდა. გაოგნებულმა ფაგორიტებმა დრჩენილ დროში ველარაფერი მოახერხეს და ფინალში ზედზედ მესამედ წააგეს. ორი მათ 1997 წლის შემდეგ არ მოუპოვებიათ. აშშ კი ტურნირის 28-წლიან ისტორიაში პირველად გაჩემპიონდა. რაც შეეხება წინა ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორ რუსეთს, მან მოსალოდნელზე სუსტად იასპარეზა. მომავალი დრაფტის მომავალი ხმაურიახ სახელის ალექსანდრ ოვეჩკინის გუნდმა 6-5 ადვილი დაიკავა.

## რეზულტარული ჩემპიონატი

7 იანვარი  
**ვაშინგტონი 0:3 ფინიქსი**  
0:2 0:0 0:1  
0:1 დოუნი (16), 0:2 ლენგოუ (19), 0:3 ნადი (60)  
„ფინიქსის“ მეკარე ბრაიან ბუშემ უნიკალურ შედეგს მიაღწია, ზედიზედ მეოთხე მატჩში შეინახა კარი მშრალად, რაც 55 წელია, არ მომხდარა ლიგაში. საერთო ჯამში ბუშეს 265 წუთი და 45 წამია ვოლი არ გაუშვია და თუ ამას „მინუსოტასთან“ მომდევნო მატჩში ორნახევარი პერიოდიც დაამატა, ლიგის ყველა დროის რეკორდს გამოჰკრავს ხელს.

**გუფლო 1:1 ფილადელფია**  
0:0 1:1 0:0 0:0  
0:1 ლევერი (22), 1:1 ფიტინგი (23)  
**ნიუ ჯერსი 2:4 პიტსბურგი**  
0:2 1:1 1:1  
0:1 ისტუდი (11), 0:2 ბრედლი (20), 0:3 მელოუი (28), 1:3 ნიდერმაიერი (36), 2:3 ელიაში (43), 2:4 მელოუი (60)  
**დეტროიტი 0:3 ბოსტონი**  
0:1 0:1 0:1  
0:1 ტორნტონი (14), 0:2 გრინი (36), 0:3 კნუბლი (43)  
**მიჩიგანა 7:4 ჩიკაგო**  
1:1 2:3 4:0

ამ მატჩის წინ „ფინიქსის“ თავაკაც ბობ ფრენსის ჰკითხეს, გუნდი გასვლით სერიას ატარებს და ბუშეს ხომ არ დაასვენებთო. „ნუთუ იდიოტს ვგაყარ, ასეთი მეკარე რომ არ გამოვიყენო?“ — იყო პასუხი. ჩანს, ფრენსისმა ყველაფერი სწორედ გათვალა. ბუშე კვლავ მოწოდების სიმალლეზე იყო და 27-ვე დარტყმა მოიგერია. თუმცა ვერ ვიტყვი, მეტოქემ ერთობ შეაწუხაო. „გაშინებონი“ კვლავ კრიზისშია. მეშვიდე მატჩია, იაგრის და კომპანიას მოგება დაავიწყდათ (1 ფრე, 6 მარცხი). არადა, ბედი არ უნდათ, მორიგი გამარჯვება მე-1000 იქნება.

0:1 კოროლიოვი (4), 1:1 უიშერი (9), 1:2 არნასონი (22), 1:3 ბელი (24), 2:3 შუინარი (25), 2:4 არნასონი (28), 3:4 შულცი (34), 4:4 პარკი (44), 5:4 შუინარი (50), 6:4 დიუბუი (52), 7:4 ლააქსონენი (59)  
**ანაჰაიმი 4:4 ლოს ანჯელესი**  
3:2 0:1 1:1 0:0  
0:1 კლერ (2), 1:1 პოლმევისტი (8), 1:2 ფროლოვი (1), 2:2 პოლმევისტი (13), 3:2 ფროლოვი (15), 3:3 ევერი (39), 3:4 ჩარტრანდი (48), 4:4 სიმპსონი (51)

| აღმოსავლეთი         |                          | NHL               | დასავლეთი                |                         |
|---------------------|--------------------------|-------------------|--------------------------|-------------------------|
| ატლანტიკა           |                          |                   | ცენტრი                   |                         |
| ფილადელფია          | 41 20 10 4 7 11489 54    | NHL               | დეტროიტი                 | 44 26 4 1 13 145:100 57 |
| ნიუ ჯერსი           | 39 20 9 1 9 95:70 50     |                   | სენტ ლუისი               | 39 22 5 1 11 98:89 50   |
| ილინდერსი           | 40 19 3 1 17 115:102 42  |                   | ნემპილი                  | 40 18 4 2 16 95:105 42  |
| ჩინსერსი            | 39 16 5 3 15 107:105 40  |                   | ჩიკაგო                   | 42 10 7 4 21 82:118 31  |
| პიტსბურგი           | 41 10 5 3 23 82:146 28   |                   | კოლუმბუსი                | 40 10 4 3 23 76:110 27  |
| ჩრდილო-აღმოსავლეთი  |                          |                   | ჩრდილო-დასავლეთი         |                         |
| ტორონტო             | 42 23 8 3 8 122:99 57    |                   | ვანკუვერი                | 41 22 6 2 11 117:94 52  |
| ოტავა               | 39 21 5 3 10 124:80 50   |                   | კოლორადო                 | 39 21 7 1 10 116:84 50  |
| მონრეალი            | 42 20 5 2 15 100:92 47   |                   | კალგარი                  | 39 21 3 3 12 92:77 48   |
| ბოსტონი             | 41 16 10 4 11 100:101 46 |                   | მინესოტა                 | 42 15 11 0 16 93:90 41  |
| ბუფლო               | 42 16 5 1 20 97:109 38   | ედმონტონი         | 40 15 7 1 17 102:112 38  |                         |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი |                          | სამხრეთ-დასავლეთი |                          |                         |
| ატლანტა             | 41 19 3 2 17 121:126 43  | სან ხოსე          | 41 17 11 3 10 100:89 48  |                         |
| ტამპა               | 38 16 6 1 15 87:85 39    | ლოს ანჯელესი      | 40 16 7 4 13 101:105 43  |                         |
| ფლორიდა             | 41 13 9 2 17 86:107 37   | ფინიქსი           | 40 15 11 2 12 104:105 43 |                         |
| კაროლინა            | 40 13 8 2 17 70:91 36    | დალასი            | 42 17 8 0 17 83:94 42    |                         |
| გაშინგტონი          | 42 11 4 1 26 101:137 27  | ანაჰაიმი          | 41 13 6 5 17 86:106 37   |                         |

გომგარდირები: კოვალჩუკი (ატლანტა) 46 (22+24); ნესტუნდი (ვანკუვერი) 46 (20+26); ლანგი (ვანკუვერი) 46 (20+26); დაცოუკი (დეტროიტი) 45 (21+24); საკიკი (კოლორადო) 44 (17+27); დოუნი (ფინიქსი) 43 (17+26); სუნდინი (ტორონტო) 43 (16+27); ნადი (ფინიქსი) 41 (20+21); ჰოსა (ოტავა) 41 (18+23); პალფი (ლოს ანჯელესი) 41 (16+25); ჰალი (დეტროიტი) 41 (16+25); სავარი (ატლანტა) 41 (15+26); ტაგევი (კოლორადო) 41 (10+31)

**ევროლეიგა**  
პირველი ჯგუფური მტავი. VIII ტური 7-8 იანვარი

|                            |                              |
|----------------------------|------------------------------|
| <b>A ჯგუფი</b>             | <b>B ჯგუფი</b>               |
| პარტიზანი 77:66 ოლიმპია    | პანათინაიკოსი 9:80 შალგირისი |
| პო ორტიზი 105:89 ციზონა    | უნიკახა 87:75 მაჰაბი         |
| <b>C ჯგუფი</b>             |                              |
| ოლიმპიაკოსი 98:92 შლიონსკი | სინა 79:73 ცსკა              |

**სარბიელი**  
სპორტული გაცემი  
გამოიცავა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  
გამოდის სამაგათს, ოთხმაგათს, ხუთმაგათს, პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძის დირექტორი ბიორგი ოქროშაძე  
რედაქტორი თამაზ შიბრიანი  
რედაქტორის მოადგილე სოსო კობორაძე  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიასვილი, ვიორგი დარჯანი, ვიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაიო სვანიძე  
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქრობერიძე  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალისიძე, მადია დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@sol.ge  
ელექტრონული ვებ-გვერდი: http://www.sarbieli.com.ge